

645 / 1961 3

645/3

82



საბჭოთა  
*ფორმა*

№ 1 056360 1961 6.






შინავერს

ახალ ხელს,


მეგობრებო!







9158




3. ი. ლენინი  
1870—1924

მხატვარ ი. მანოხინის გრაფიურა

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და  
ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალი  
№ 1 იანვარი 1961 წელი

საბჭოთა  
ქრონიკა







ფოტო გ. თიკანაძის

# ამ სახლში...

თითქოს ყოველთვის ერთნაირად შემოდის სახლში ახალი წლის ღამე, თეთრი და ჯადოსნური. ის ჰყვება უკვე წასული წლის ამბავს, დინჯად, უხმოდ. და გინდა მოგაგონდეს მხოლოდ კარგი დღეები უკან დარჩენილი წლისა, რომ მხოლოდ ბედნიერი დღეები იყოს ახალ წელს. წკრიალებს ღვინით სავსე ჭიქები და...

— მომილოცავს ახალი წელი! — ამბობენ ღილი და ლეო.

ეს მეთერთმეტე ახალი წელია პროფესორ ლევან გაბუნიას ოჯახში. ბავშვები არ უსხედან საახალწლო სუფრას. ისინი ჯერ პატარებში არიან, მშვიდად სძინავენ თავიანთ საწოლებში,

და, ვინ იცის, სიზმრად ხედავენ თოვლის ბაბუას, საჩუქრებით დატვირთულს. ის მოდის დათოვლილ მიწაზე, მოდის და მოაქვს საჩუქრები სალომესთვის, ვახტანგისთვის, მზიასთვის, გიორგისთვის...

საათმა ჩამოჰკრა თორმეტჯერ, სახლში შემოვიდა ახალი წელი და ღეო და ლილი მოგონებებით ფურცლავენ გასულ წლებს.

— ლეო, გახსოვს, სალომე ტელევიზორში ცეკვავდა...

— ვახტანგმა ფრანგულად რამდენი რამ ის წავილა...

— მჭიჯ როგორ გაიზარდა ამ ერთ წელიწადში!

— გახსოვს, გიორგიმ პირველად რომ გაიარა...  
... სულხან-საბას ქუჩა, წყნარი და პატარა. არ შეიძლება არ შეამჩნიოთ ის ღამაში ახალგაზრდა ქალი. ის და მისი ოთხი შვილი. ყოველ დილით, სამსახურში წასვლისას, შედგება თავის სახლის ფანჯარასთან და ქუჩიდან პეროვან კოცნას უგზავნის ბავშვებს. ისინიც ფანჯრის მინაზე ცხვირმიჭეპილები დგანან და ემშვიდობებიან.

... დილით ყოველთვის ღელავს ლილი—სამსახურში აგვიანდება. ვახტანგი თავს წამოკოფს ლოგინიდან და ნამძინარევი ხმით ამბობს:

— დედა სამსახურში ვინც გასწავლის, იცის, რომ პატარა ბავშვები გყავს?

— იცის...

— ნუ გეშინია, აბა, რომ დაგაგვიანდეს, არაფერს გეტყვის...

შესვენებაზე ისევ სახლში შემოირბენს ლილი. უმცროსებს დააძინებს, უფროსებს სკოლაში გააცილებს. მერე ისევ გარბის ინსტიტუტში ასეც ხდება: ბებია ნალია ბავშვებზე საშინლად გაჯავრებული ხვდება, განსაკუთრებით სალომეზე:

— რისთვის გავედი პენსიაზე, რატომ დავანებე სამსახურს თავი, ბავშვები არაფერს მიჯერებენ...

ლილი ჯდება და სერიოზულად ეკითხება სალომეს:

— სალომე, რა გენა ახლა მე, როგორ მოვიქცე? სალომე ფიქრობს. მერე უბრალოდ ამბობს:

— იცი, დედიკო, მოდი, პენსიაზე გადი, ბებია ნალია კი... სამსახურში წავიდეს...

რამდენი საფიქრალი აქვს. აი, თუნდაც ის, რომ ვახტანგი უკარებაა თითქოს დიდხანს







კერ ეჩვევა უცნობს, დგას თავისთვის, მარტო და ფიქრობს, არავინ იცის—რას. მხოლოდ ლილის რატომღაც თავისი ბავშვობა ახსენდება, თითონაც წყნარი იყო, არ უყვარდა ხმაური, ცეცქობა. უყვარდა სადმე განმარტოებით ჯდომა და ოცნება...

სალომე?

ო, სალომე სულ სხვანაირია, მხიარული და თამამი. იცეკვებს კიდეც, დაუკრავს, ლექსებს იტყვის და ფრანგულადაც დაგელაპარაკებათ. სალომეა ლილის დამხმარე ყველაფერში და განსაკუთრებით ბავშვების აღზრდაში. ის ბანს, ის ვარცხნის, ის აჭმევს კიდეც პატარებს—სამი წლის მზიას და ორი წლის გიორგის. ვახ-



ტანგსაც არ დატოვებს ისე, რომ გაკვეთილი არ გამოკითხოს სკოლაში წასვლამდე. ახლა სამი წლის მზიაც, სალომეს შემყურე, ცდილობს თვითონ მიაღაგოს ლოგინი, თვითონ დაიბანოს პირი და ხანდახან გიორგისაც ებოტინება:

— მოდი, მე ცაგაცმევ სარვალს...

...1945 წელს დაამთავრა ლილი ასათიანმა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილება. მერე სამი წელი ასპირანტურაში სწავლობდა. 1950 წელს დაიცვა დისერტაცია. ერთი წლის შემდეგ ეყოლა პირველი შვილი—სალომე, მომდევნო წელს—ვახტანგი, მერე მზია და გიორგი. და ყოველთვის რაღაც დიდი, კარგი შემოქმედით ბავშვებს ლილის და ლეოს ცხოვრებაში. ლილი სულ უფრო რწმუნდებოდა, რომ ჰყავდა ნამდვილი, ერთგული მეგობარი და თითქოს ადვილიც იყო უფრო—ხედავდა, როგორი გულისხმიერი გახდა სალომე, როცა დაიბადა ვახტანგი, როგორი ნაზი გახდა ვახტანგი, როცა დაიბადა მზია... და ახლა, როცა პატარა გიორგიც შემოვიდა მათ სამყაროში, როცა ოთხივე ერთად რიან, გული თითქოს უფრო მშვიდად აქვთ

ლილის და ლეოს— მათი შვილები ყოველთვის ერთად იქნებიან და ყოველთვის მხარში ამოუდგებიან ერთმანეთს—ჭირშიც და ლხინშიც.

ლილი ახლა „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე“ მუშაობს. ლეოსაც ბევრი აქვს გასაკეთებელი. თუმცა მზია აღარ აცლის მაგიდასთან დაჯდომას, მოიკალათებს მის მუხლებზე, თვალზე სათვალეს მოირგებს და გულმოდგინედ «ამოწმებს» მამიკოს «გაკვეთილებს»...

...ამ სახლში ყველაფერი თავისი გზით მიდის.

ამ სახლში ცხოვრობს ორი კარგი მეგობარი. აქ იზრდებიან ბავშვები. ისინი ხშირად ცელქობენ, ხშირად აჯავრებენ ვიღაცას, ხშირად ხელს უშლიან უშაობაში დედას და მამას. მაგრამ ყველაფერი მაინც თავისი გზით მიდის. სალომე და ვახტანგი სწავლობენ კარვად, მზია და გიორგი ჯერ არ სწავლობენ, მაგრამ ცდილობენ ყველაფერში მიბაძონ უფროსებს, მათ იციან ერთმანეთის დახმარება და სიყვარული...

...ამ სახლში შემოდის ახალი წელი, ბედნიერი და სავე.

ლია გოგიშვილი



# მსახიობის დაბადება

ქინკლავს. აქედან მხოლოდ სველი სახურავები და მოქუფრული ცა მოჩანს. სახურავებს შორის გაზუნზულული ხეების წვეროები ამოჩრილან.

იგი ჯიბებში ხელბეჩაყოფილი ფანჯარას ცილდება და საწერ მაგიდასთან ჯდება. აღმაცერად დაჰყურებს კალამს. იცის, რომ ნაწერს დღეს სტრიქონსაც ვერ მიუმატებს...

სახლში არავინ არის. ქმარი სამსახურშია, ბიჭი ჯერ სკოლიდან არ დაბრუნებულა. შვიდ საათზე ინგლისური ენის გაკვეთილი აქვს. მაგრამ შვიდ საათამდე დიდი დროა. ახლა იგი მარტოა და ფიქრობს...

აგონდება ხმელთაშუა ზღვის ულამაზესი სანაპიროები, ნაპირთან მომდგარი თეთრი ვეშები. ლაჟვარდოვანი ნაპირი: კანისა და ნიციის თეთრი სასახლეები, რომი, მილანი, ვენეცია... დაუფიქვარი შეხედვრები სახელგ ანთქმულ კინოვარსკვლავებთან, რეჟისრებთან, კინოდრამატურებთან და უბრალო ადამიანებთან, ჭაბუკური ენერგიით აღსავსე ჩეზარე ძავატინი, ვიტორიო დე სიკა, ფლეგმატური რენე კლერი, ბავშვივით მოუსვენარი მხცოვანი პოეტი ჟან კოქტო, ელეგანტური ბრიჯიტ ბარდო, სევდიანი სიმონა სინიორე და ბოლოს მისი სიმბათია მარია ფიორე, რომელსაც ესპანეთის მოედანზე შეხვდა...

კარლოვი-ვარი — მსოფლიოს კინომოყვარულთა მექა. საბჭოთა კინოფილმების სრული ტრიუმფი. დიდი მოწონება ხვდა «ჭრიჭინასაც».

«დიდი ურკერი»: «საბჭოეთს ჰყავს თავისი მერი პიკვორდი». «ნიუ-იორკ ტაიმსი»: «ვისაც კი ახსოვს ახალგაზრდობაში შეუდარებელი მერი პიკვორდი, არ შეიძლება არ მოაგონოს იგი ქართველმა კინოსახიობმა ლეილა აბაშიძემ».

ღიახ, ახლა ლეილას არამარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც იცნობენ.

როდესაც ადამიანი სანუკვარ მიზანს აღწევს, იგი აუცილებლად იყურება წარსულში და გონების თვალთ სინჯავს პირველ ნაბიჯებს.

«მე ბატარა ქართველი ვარ,—  
კავკასიის მთების შვილი  
და განცხრომით სხვაგან ყოფნას  
მირჩენია აქ სიკვდილი!»

დიდი განცდებით კითხულობს ბატარა ლეილა და სტუმრების ერთსულოვან ტაში და მოწონების შეძახილებში ამთავრებს ლექსს.

წვეულება გრძელდება. გოგონა ხან ცეკვავს, ხან მღერის, ხანაც ფიხის წვერებზე შემდგარი გაფრენას ლამობს, როგორც თეთრგულა მერცხალი. შემდეგ ერთიანად ატაცებული და ლოყებაწითლებული მეორე ოთახში გარბის, სიცივისაგან გაორთქლილ მინას გახურებული შუბლით ეკვრება. საჩვენებელი თითით დაორთქლილ მინაზე გამოჰყავს 1 ავეის-ტო. დღეს ხომ ლეილას დაბადების დღეა!

გოგონა წვება ლოგინში, ხუჭავს თვალებს და ღრმა ბავშვური ძილით იძინებს. იგი გადადის სიზმრების სამყაროში და მისი ბავშვური წარმოდგენა სათუთ მოგონებებს აღვიძებს. ეს მოგონებები მოდიან უწყვეტად, უსწორმასწოროდ მოძრაობენ და ბოლოს კინოკადრებივით ცოცხლდებიან.

აი, მთების გულში ჩაკარგული სოფელი ჭნლა. ძველებური სახლის ფართო აივანი. აივანზე მისი ბებიის მარია მარათაშვილი, იგი სწრაფად ამოძრავებს წინდის ჩხირებს და როცა ისინი მზის ფოკუსში ხვდებათ, დედაბრის დამჭანარ სახეზე სუსტი ათინათი იფლავს.



ყვირილას ნაპირზე დაგდებული უშველებელი ლოდი, სადაც იგი ბავშვებთან ერთად იმპროვიზირებულ «წარმოდგენებს» მართავდა. დიდი აღმართი და მის გულზე მოქნილი თეთრი ბილიკი: ო, რა ძნელი იყო მაღლა ასვლა და რა სასიამოვნო დაბლა დაშვება...

ვილაც მიაჭენებს ცხენს. ცისფერი ბლუზა და შავი შარვალი აცვია, დიდი შავი თვალეტი, სწორი, ლამაზი ცხვირი.

«მინდორს ვნახე თეთრი ქვაოო...—იწვიძებს ნაცნობი მელოდია. ვინ არის ეს მხედარი? ა, ეს ხომ თვითონ არის, ლეილა! მამას ბიჭი უნდოდა ჰყოლოდა და შვიდ წლამდე ბიჭურად აცმევდნენ.

შემდეგ გამოსახულებანი ნელნელა მკრთალდებიან. ლეილა თვალებს ახელს, მაგრამ სწრაფადვე ხუჭავს.

— ადექი, ლეილა, მამასთან მიგდივართ, რუსეთში!—ჩაქმის დედის ხმა.

ღედა ჩემოდანში გიორგი ქუჩისშვილისა და თედო რაზიკაშვილის წიგნებს ალაგებს.

რუსეთი რატომღაც ბავშვების წარმოდგენაში მუდამ თოვლით არის დაფარული. მამის ზამთარი იყო და ლეილას სრულუბნითაც არ გაჰკვირვებია, როცა ეს თვალუწვდენელი ქვეყანა ასეთი დაინახა. მას ხიბლაგდა თოვლიანი მინდვრების მდუმარება და მოწყენილი ნაძვნარი, განცალკევებული სახლები, რომლებიც საოცრად ერწყმოდნენ ზამთრის პეიზაჟს. ცისკენ მიმავალი ცისფერი ბოლი და ცხენებზემშული მარხილები, ირგვლივ კი თოვლი, თოვლი...

სკოლა შვიდ კილომეტრზე იყო და თხილამურებით უხდებოდა იქამდე მისვლა, დაუსრულებელ გზას ხეებთან და ჩიტებთან ბასით იმოკლებდა.

გაკვეთილების შემდეგ სკოლის თვითმოქმედების წრეში რჩებოდა. მოდიოდა კონცერტების დრო. სცენაზე გამოსვლის წინ იგი შარვალს იხდიდა და წითელ კაბას იცვამდა, ეს კაბა თბილისს აგონებდა...

იგი თამაშობდა მზეთუნახავს, რომელიც გაუვალ ტყეში გაიტაცეს ყაჩაღებმა და ხნელ მიწურში დაამწყვდიეს. ლეილას ებრალებოდა თავისი გმირი და ბევრჯერ უტირია სცენაზე ცხარე ცრემლებით. ერთხელ ლეილამ ვედარ აიტანა ეს მდგომარეობა, განმათავისუფლებელი უფლისწულის მოსვლას აღარ დაელოდა და აქვითინებულმა დატოვა სცენა.

ადგილობრივმა გაზეთმა ბატარა მსახიობს დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა: «ჩვენ დიდი მსახიობის დაბადების მოწმენი ვართ».

მერე—ისევ მშობლიური თბილისი. ლეილამ მორიდებულად შეალო მეთექვსმეტე საშუალო სკოლის კარი და ხელახლა გადაშალა ქართული წიგნი.

არის წუთები, რომლებიც ადამიანის მეხსიერებაში არასოდეს იკარგებიან.



იმ დროს კინოფილმ «ქაჯანას» გადაღება მიმდინარეობდა. გამოცხადებული იყო კონკურსი კატოს როლის საუკეთესო შემსრულებელზე. ლეილა კინოსტუდიისაკენ შემკრთალი მიყვებოდა აბაშიძეების ოჯახის მეგობარს — ლამარა შალიკაშვილს. «გამომცდელებს» იგი თვალში არ მოუვიდათ: მეტად სევდიანი თვალები აქვს, კატო კი ეშმაკი და მხიარულიაო. ლეილამ ოთახი დატოვა თუ არა, გამბედაობა დაუბრუნდა თვალები ძველებური ხალისით აენთო, კიბეს მოახტა და ჩასრიალდა. ჩამოსტუმრისას უცნობ მამაკაცს დაეჯახა. მათი საუბრის ბოლო მოულოდნელი იყო: — გოგონა, არ გინდა კინოში გათამაშო?

რეჟისორმა პიბინაშვილმა დროზე დაუბრუნა ლეილა კინოს, რომელსაც იგი, ალბათ, საპუდამოდ ტოვებდა. ეკრანზე პატარა კატო მოჩანს. გრძელი ნაწნავები, ეშმაკური ღიმილი, ზეგრი უშუალობა და გულწრფელობა, საბედისწერო ჭიკაოკონამ მას ბავშვური სინარული წაართვა, — გულჩათხრობილი, სევდიანი გახდა. დარბაზში სინათლე აინთო. მაყურებლის ტაშისცემაში ნიჭიერი კინოსახიობი დაიბადა.

შემდეგ მის ცხოვრებაში მოვლენები და ამბები კინოკადრების სისწრაფით ენაცვლებოდნენ ერთიმეორეს. შესანიშნავი დებიუტის შემდეგ იგი მონაწილეობს ფალმში «ოქროს ბილიკი», რომელშიც ანსახიერებს უბრალო გოგონას სახეს.

✓ 1948 წელი. «აკაკის აკვანი». ეკრანზე უბადლო ქართველი პოეტის კეთილშობილური სახე ცოცხლდება. ლეილა თამაშობს ნახიბროლას. აქედან იწყება მისი შინაგანი წვა. მან უნდა გახსნას არაჩვეულებრივად ქალური, ოჯახის კეთილი სახელისათვის თავდადებული ქალის სახე. აქ ლეილა სუსტია და ნაზი, როგორც ყვავილი, ხოლო მისი სულიერი კდემამოსილება ამაღლებული და შთამაგონებელი.

ნახიბროლას შთამბეჭდავი სახის შექმნის შემდეგ ლეილას თავისი შემოქმედებითი ძალებისადმი რწმენა განუმტკიცდა. აქედან მოკიდებული, ის სერიოზულად ფიქრობს მსახიობობაზე.

1949 წელს იგი შედის თეატრალურ ინსტიტუტში სამსახიობო ფაკულტეტზე. ინსტიტუტში სწავლის პერიოდში პროფესიონალურად დაიხვეწა მისი თანდაყოლილი ნიჭი, ექსცენტრული სამსახიობო ბუნება მკაცრად განსაზღვრულ შემოქმედებით ჩარჩოებში მოექცა და სისტემატური ხასიათი მიიღო.

დაუვიწყარ პოეტურ მოგონებად გაჰყვა ლეილას სადიპლომო სპექტაკლში — ტურგენევის «ერთი თვე სოფლად» — ნატალია პეტროვნას რთული სახე. პიესაში აქცენტი დასმულია ნატალია პეტროვნას სულიერ ტრაგედიაზე იგი თავისი ცხოვრების შემოდგომაზე უნდა ეზიაროს პირველ და უიმედო სიყვარულს. ახალგაზრდა შემსრულებლის თამაშმა მაყურებელზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. იქნებ ამიტომაც არის, რომ ლეილას დღესაც თავისაკენ ეწვევა თეატრი?

✓ როდესაც ლეილა აბაშიძეს «ჭრიჭინას» სცენარი წააკითხეს, მან იგრძნო, რომ სავსებით მომზადებულია ფილმის მთავარი გმირის სახის შესაქმნელად. რამდენიმე თვის განმავლობაში იგი სავსებით გარდაიქმნა, თითქმის თავისი გმირის იდენტური გახდა. ეს ცვლილება შეიმჩნეოდა არა მარტო როლზე მუშაობის დროს, არამედ პირად ცხოვრებაშიც. ფანჯარასთან მიმდგარი მღეროდა უდარდელ მელოდიას:

«აბა, დელი, დელი; დელი, დე-ლა...»

მერე კი ეზოში ცარკით დახაზულ კვადრატებში ასკინკლით დახტოდა: ♪

მომდევნო წლებში ლეილა აბაშიძემ არაერთხელ მოხიბლა ჩვენი კინომაყურებელი: «ისინი ჩამვიდნენ მთიდან», «აბუხარა», «ჩვენი ეზო», «ცალკე უნდა გამოვეყოთ მისი მათა წყნეთელი — უსამართლობისა და მძალი წოდების ძალადობის წინააღმდეგ ამხედრებული ქართველი ქალის რთული და ღრმა ფსიქოლოგიური სახე. ლეილა დროებით დაემშვიდობა კაბას და ჩოხა-ახალუხში გამოეწყო. როდესაც მათა თავის თავთან რჩებოდა, მასში იღვიძებდა ქალი. — სიყვარულის, სინაზისა და ოჯახის მოყვარული. იგი გარბოდა მდინარის უკაცრიელი ნაპირისაკენ და გრილი ტალღების ზედაპირზე გაწოლილი თავის უკულმართ ბედაზე ფიქრობდა, მაგრამ მასში ერთდროულად ცხოვრობდა სამშობლოს კეთილდღეობისათვის მებრძოლი გმირი ქალი, რომელსაც უფრო დიდი მსხვერპლის გაღებაც შეეძლო... ♫

...ალარ წვიმს, გალუმბული ხეები ტანს იბერტყავენ...

უკვე შედის ნახევარია.

მაგიდაზე დაუმთავრებელი სცენარი დევს.

ზ. ჩხაიძე,

შ. კიახრიშვილი.

სამჭოთა კინოფესტივალის დღეობაში, 1957 წლის დეკემბერში. მარცხნიდან მარჯვნივ: ლეილა აბაშიძე, ზორის ჩირკოვი, ტატიანა სამოილოვა.





# ისევ ორნი დაერჩით

მ ო თ ხ რ ო ბ ა

— ოთარ, გძინავს?  
 — არა, რა იყო?  
 — მეშინია.—რუსიკო მომეკრა, თავი მხარზე დამადო.  
 — რისა, ჭირიმე?  
 — რომ მოვევდე?  
 თავზე ხელი გადავუსვი.  
 — ნუ გეშინია.  
 — ზოგიერთები ხომ...—მან არ დაამთავრა. თავი წამოსწია და ჩემი ხელი თავქვეშ ამოიღო.  
 — მახინჯი რომ დაიბადოს?...—ის უცებ გაჩუმდა, თითქოს თავისივე ნათქვამის შეშინდაო. თვალები დახუჭა და ჩემ თითებს დაუწყო წვალეზა. საითთაოდ გასწია, თითქოს თვლიდა. მერე მაგრად მოუჭირა ხელი.  
 — ის ჩემზე უფრო გვეყარება?  
 მკრთალ სინათლეზე საბანი პრიალეზს. რუსიკოს გვერდზე ბავშვის საწოლი დგას.  
 „ის! ის ჩემი შვილია.“—გულმა რეჩხი მიყო. გერაფრით ვერ წარმოვიდგინე როგორი იქნება ის. როგორც ყოველთვის, ახლაც მხოლოდ ბავშვის საწოლი დაეინახე და თითქოს ვიგრძენი ერთმანეთში შერეული ოფლისა და რძის სუნია.  
 — უფრო გვეყარება?  
 — სულელო გოგო, დედა-შვილს უფრო უყვართ ერთმანეთი, ვიდრე მამასა და შვილს.  
 ქუჩაში მოგვიანებულმა მგზავრმა ჩაიარა—  
 — მაკოცე...  
 წამოვიწიე და ყვრიმალზე ვაკოცე.  
 — კიდევ!..  
 გამეცინა.  
 — რატომ იცინი?  
 მისკენ დავიხარე.  
 — არ მინდა, არ მინდა.—მან ხელი ხელზე გამკრა და სახე ბალიშებში დამალა.—აი მოკვდები და ნახავ! სულ შენი ბრალი იქნება. შენთვის ადვილია, მე კი უნდა ვეწამო, ვეწამო...  
 — რუსიკო!—სიჩუმე ჩამოვარდა. გაისმა საათის ტიკტიკი, თითქოს ახლა მომართესო. საბანი ვისროლე და ლოგინიდან წამოდგომა დაეპირე.  
 ის სწრაფად გადმობარუნდა. ხელი მაჯაში წამავლო.  
 — არ წახვიდე რა. მე ცუდი ვარ...—და ჩემი ხელი გულში ჩაიხუტა.  
 მე გაუძირველად ვიწიქი.  
 — ოთარ...—მან მხარზე მომისვა ხელი. თი უები კანკალეზდნენ. რა ნაცნობი იყო ეს შეხება, რა მტკივნეული. იდაყვს დავეყრდენი და თვალეზაში ჩავხედე. საღამური ნათურის შუქზე ისინი მთლად მწვანე ჩანან. მან თვალეზა დახუჭა. დავყურებ შემუბებულ უბეებს, ოდნავ შესივულ ცხვირს. აბურცულ ტუჩებს ზემოთ თხელი ბუსუსები ოფლის წვეთებს დაუფარავს. მის სახეში არის რაღაც ძალიან ბავშ-

ვური. უცებ გამიკვირდა. რომ ის ქალია და შემეშინდა, ხომ შეიძლება ჩართლაც მოკვდეს. შიგნიდან რაღაც გამიცვიდა. მკლავები შემოვხვიე.  
 — ჩამეხუტე, ჩამეხუტე.—გბუტბუტებ უაზროდ და ხელეზს ღონივრად ვუჭერ.  
 ის მთელი სხელით მეკვრის. მისი თმა ღოყაზე მიღვინებს. კისერზე მკოცნის. მერე ზურგზე საბანს მისწორებს...  
 \* \* \*  
 მოსაცდელში ბოლთას ვცემ. სიჩუმეა. კუთხეში ორი ქალი ჩურჩულეზს. სკამზე ჩამოვჯექი. ავდექი. გავიარე და ისევ დავჯექი. თავი ხელეზს ჩამოვყარდენი, იატაკს რაღაც ლაქა ამჩნევია, მელნისაა თუ საღებავის ვერ გაარჩევ. ეტყობა, ვიღაცას ტურქული გატყდომია და შხვები ირიბად წასულა. პარკეტის ერთი ფილა ამოვარდნილია. ვცდილობ ფეხსაცმლის წვერით გავასწორო. ფილა აყირავდა. ჩემს წინ ფეხები გაჩერდა. ფეხსაცმელზე ნათურის სხივები ირეკლება. შორიდან მოისმა კარის ჯახუნია. თავი ავწიე. შავ კოსტუმში გამოწყობილი მამაკაცი ხელში პაპიროსს ატრიალებდა.  
 — ასანთი ხომ არ გექნებათ?—მკითხა მან. უნებურად მოვისინჯე ჯიბეები.  
 — არა. არა მქვს.—ის ქუსლებზე შეტრიალდა და წავიდა.  
 კარებს იქით, დერეფნებში ნოხებზე რბილად დადოღუნენ სანიტრები.  
 ის ისევ მომიახლოვდა.  
 — თქვენ პირველად ხართ?  
 თავი დაგუქნიე.  
 — მეც.—თქვა მან და პაპიროსს ფერფლი საჩვენებელი თითით მოაშორა. მას ძალიან თხელი და თეთრი ხელები ჰქონდა.  
 — უცნაური გრძნობაა მოლოდინი. ადამიანი მთელი თავისი ცხოვრება ელის, ელის და რას? სიკვდილს! აი, ჩვენ კი სიციცხლის გავრძელებას ველით. საოცარია, არა?  
 მე მხრები ავიჩეჩე. მან თავი დახარა და ქვედა ტუჩი გადმოაბარუნა.  
 — საოცარია, საოცარი.—თქვა და წავიდა. ჩემს პირდაპირ ორი ქალი ზის. მათ ზევით პლაკატი ჰქვია. ზედ ბავშვიანი ქალია დახატული. ქვევით მსხვილი ასობით აწერია: **მშობიარობა უმტკივნეულოა!** უმტკივნეულოა—ვიღაცას ბრჭყალებში ჩაუსვამს.  
 — მეშინია...  
 — რისა, ჭირიმე?  
 — რომ მოკვდეთ?  
 და მე ვხედავ ფართოდ გახეილ შეშინებულ თვალეზს. გული შემეკუმშა. ოთახი მეპატარავა. ფეხზე ავდექი. ტუჩი მოვიკვნიტე. პრილა ჯერ-საცმელიან მამაკაცთან მივედი და პაპიროსი

ვთხოვე. მთელი წელია არ მომიწევია და რამდენიმე ნაღაზის მერე თავბრუ დამეხვა.  
 კარი გაიღო, სანიტარმა გამოიხედა, ვიგრძენი როგორ გამეყინა ძარღვებში სისხლი.  
 — შავიშვილი!—დაიძახა თეთრხალათიანმა ქალმა.  
 — დიდა.—თქვა ნაცნობმა მამაკაცმა. პალსტუხი გაისწორა და სწრაფი ნაბიჯით წავიდა ქალისაკენ.  
 — მომილოცავს, გოგო! რატომ მოიწყინეთ. გოგოც შვილია.—მამაკაცმა ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და მხრები აიჩეჩა.  
 ნელა მივუახლოვდი თეთრხალათიან ქალს.  
 — ბოდიში, ნათაქე როგორ არის?  
 მან პასუხი დამიგვიანა.  
 — ბავში უდღეური გამოდგა...  
 — დედა?...—ხმა ჩამიწყდა. მომეჩვენა, რომ პასუხს ვერასოდეს ვერ ველირსები. მერე ძალიან შორიდან მომესმა:  
 — დაწყნარდით, გადარჩება!  
 კარებს მივეყრდენი. ოთახი ნათურის ლიც-ლიცში დაიკარგა.  
 \* \* \*  
 — გძინავს?  
 — არა.  
 — აი, ჩვენ ისევ ორნი დავრჩით... ჩვენი ბიჭი კი...—სიტყვა ყელში გაეჩხირა. გაჩუმდა. მერე მის გვერდით დადგმულ პატარა მაგიდიდან სუნამოს ბოთლი აიღო, უყნოსა და ისევ თავის ადგილას დადგა.  
 — დამშვიდდი. ცოტას მომჯობინდები და წალეკრში წავალთ. გინდა წალეკრში?  
 — მინდა!—თქვა მან გაბულტული ბავშვივით. შეღებულ ფანჯარაში ისმოდა რადიომიმღების ხროტინი. მანქანამ გაიარა და სიმღერა წამით დაიკარგა.  
 — მერე წავალთ ზღვაზე.—გავაგრძელე მე. —შენ ხომ ვიყვარს ზღვა. წყნარი ზღვა. გახსოვს, საღამოობით რომ ვუსმენდით ზღვის შრიალს?  
 — ოთარ, მტკივა...  
 — რა გტკივა?  
 — აქ!—მან ჩემი ხელი მეკრძე დაიღო.—ის აღარ არის, ჩემი შავთვალა ბიჭი. მე კი მტკივა.  
 — გაგივლის, გაგივლის. ევ არაფერია.  
 — ოთარ, მეყოლება კიდევ შვილი?  
 — ცხადია!  
 — რომ არ გვეყოლოს?  
 — უშეველად გვეყოლება!  
 — შვილი მინდა!—თქვა მან ჯიუტად. სახე ჩემს მეკრძე დამალა და ატირდა.  
 ფანჯრის იქით რადიომიმღები უგემურად ხროტინებდა.



# ნათალი უსა

სალამოა, ბათუმელი მუშა ტარასი მგალობლიშვილი დინჯად მიჰყვება ერკეთისაკენ მიმავალ გზას. კახოურას წყალთან შეისვენა.

ტარასიმ ხელბარგი ფრთხილად მიაყუდა ხის ძირას და იქვე ჩამოჯდა. დიდი ხანია იგი ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრია. ბათუმელი მუშა რევოლუციონერები მხოლოდ ქალაქში მუშაობით როდი კმაყოფილდებიან, მათ ლენინის იდეები სოფლად—გლეხობაში მიაქვთ.

ახლა იგი შინ მიდის, ხელბარგით გაზეთ «ბრძოლის» ახალი ნომრები და მარქსისტული ლიტერატურა მიაქვს. იცის ტარასიმ, ვის უნდა გადასცეს ისინი. სანდო ხალხი ბევრი ჰყავს ერკეთში, შუბანში, ხევში, მაგრამ ლიტერატურას დროზე უნდა გავრცელება.

— ნატაშა რომ გავგზავნო ხევში?—გაიფიქრა უცრად.

უმცროსი და ნატალია ამ დროს 15 წლისა იყო. გამხდარი, ცქრიალა, შავი ხუჭუჭა თმები გვირგვინივით ადგა თავზე. კარგად სწავლობდა, მაგრამ ოჯახმა სწავლის ფულის გადახდა ვერ შესძლო და დამთავრებამდე გამოვიდა სკოლიდან, ახლა დედას ეხმარება საოჯახო საქმიანობაში.

...დიდადრიანად ნატაშა ხევის გზას დაადგა. აუცილებლად ის ხალხი უნდა იპოვოს, ვისთანაც ძმა გზავნის, სხვებს კი... არცერთი სიტყვა!

ღელავდა მაშინ ნატაშა. მან იცოდა, რომ მზადდებოდა რაღაც დიდი საქმე. ის ხალხი, ვისთანაც ახლა მიდიოდა, ბევრჯერ უნახავს ძმასთან, ზოგი რამ გაუგია მათი საუბრისას, მაგრამ თუ მისი წვლილიც საჭირო იქნებოდა ამ საქმეში, ვერ წარმოედგინა.

პირველმა გამოცდამ კარგად ჩაიარა. ამის შემდეგ ნატალია ტარასის ერთგული თანაშემწე გახდა. იგი ხევებზე და კედლებზე აკრავდა რევოლუციურ ფურცლებს, გულმოდგინედ კითხულობდა და ავრცელებდა ახალ პარტიულ ლიტერატურას. თანდათან იწრთობოდა და იზრდებოდა მისი შეგნება. 1916 წელს ნატალია ალექსანდრეს ასული მგალობლიშვილი ერკეთის პარტიული ორგანიზაციის წევრი გახდა. არალეგალურ მუშაობაში თანდათან ემშობდნენ ქალები. უკვე გამოცდილი მუშაკი იყო ოლდა მარკოზის ასული კალანდაძე. ოლდა და ნატალია ბევრს ზრუნავდნენ ქალების გათვითცნობიერებისათვის, იწვევდნენ ქალთა კრებებს, სადაც მომხსენებლად მოჰყავდათ ბოლშევიკი პროპაგანდისტები...

1919 წლის შემოდგომაზე დაიწყო მთავრობის წინააღმდეგ დიდი შეიარაღებული აჯანყების მზადება. ერკეთის ორგანიზაცია ამ დროს 400-მდე კომუნისტს აერთიანებდა.

შედგა აჯანყების ზუსტი გეგმა, თანდათან გროვდებოდა იარაღი, მოსალოდნელი იყო მსხვერპლიც, ქალები ვაჟკაცების მხარდამხარ მონაწილეობდნენ ამ აჯანყებაში. აჯანყების პირველმა ეტაპმა გამოამქვავა ჩოხატაურელ კომუნისტთა საუკეთესო მომზადება და ერთგულება ლენინის საქმისადმი, მაგრამ მთავრობის ჯარებმა სძლიეს მათ და აჯანყება დამარცხდა.



მენშევიკების მთავრობა სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულებს ნატალია მგალობლიშვილის კარგად ახსოვს 9 მამაცი კომუნარი, რომლებიც დახვრიტეს 1919 წლის ნოემბერში.

ვინც დახვრეტას გადაურჩა, იძულებული შეიქნა ტყისათვის შეეფარებინა თავი. ტარასი მთლიანად არალეგალურ მუშაობაზე გადავიდა, ნატალია რამოდენიმე დღე ხან ერთ, ხან მეორე მეზობელთან იმალებოდა. მერე მოხუცი ქალის შავი კაბა ჩაიცვა და ორი მეზობლის თანხლებით ბათუმის გზას დაადგა. რამდენიმე ხნის შემდეგ ნატაშა თბილისში იყო, აქაც გავრძელდა დევნა მენშევიკების მხრივ, ამიტომ იგი სხვა 7 ბოლშევიკთან ერთად ბაქოში გაემგზავრა—აზერბაიჯანში იმ დროს საბჭოთა ხელისუფლება იყო.

ბაქოში მყოფი ქართველი კომუნისტები, მათ შორის ნატალია მგალობლიშვილიც, ბევრს მუშაობდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის. იბეჭდებოდა საჭირო ლიტერატურა და არალეგალურად იგზავნებოდა თბილისში. 1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით აღფრთოვანებული ნატალია სასწრაფოდ დაბრუნდა თბილისში. საბჭოთა მთავრობამ მას საპატიო დავალება მისცა: ქალთა შორის მუშაობის გაშლა. ნატალია მგალობლიშვილი აქტიურად მუშაობდა ქალთა განყოფილებებში—თბილისში, ბათუმში, ჭიათურაში, დუშეთში, შემდეგ კი პარტიულ არქივში.

ბრძოლასა და შრომაში გავიდა დრო. ნატალია მგალობლიშვილი ამჟამად პერსონალური პენსიონერია.

ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტის 50 წლისთავზე ნატალია მგალობლიშვილი უმაღლესი ჯილდოთი—ლენინის ორდენით დააჯილდოვეს. დამსახურებული რევოლუციონერი შეჰხარის თავის შვილებსა და შვილიშვილებს და დროდადრო მათ მშობლიური პარტიის სახელოვან გზაზე მოუთხრობს.



სმ სოფელში დაიბადა, ამ სკოლაში სწავლობდა, ამ პატარა მდინარის მორევი უბანში, აქ კი მისი საქონი დაზღა და ამ ფაბრიკის ეზოდან გავიდა უკანასკნელად ყველა ჩვენგანისათვის მახლობელი, ძვირფასი და საყვარელი შავთვალა გოგონა, — ასე დავეძებთ თხუთმეტი წლის შემდეგ სახელოვანი ქართველი ქალიშვილის თინა იოსებიძის ნაკვალევს, დავეძებთ გულისტკივილით — რატომ კარგად არ ვიცნობდით, დროზე არ შევნიშნეთ, დიდ გზაზე მიმავალი დიდებით არ გავაცივით!..

იქნებ შეგხვედრია, ჩავგიხედია მის ცეცხლოვან თვალეში, გვიგონია მისი ახალგაზრდული გულის ძახილი, მაგრამ თხუთმეტი წელი.. და ახლა, როცა თხუთმეტი წლის შემდეგ თვალს ვავლებთ ამ მოუსვენარი, თითქოს ბრძოლისათვის დაბადებული ქალიშვილის რომანტიული შუქით მოსილ გზას, გვიკვირს როგორ შესძლო ასე პატარამ ამხელა სივრცისა და მანძილის დაპყრობა, ან როგორ მოასწრო მან მოკლე დროში სიციცხლეც; სიკვდილიც და უკვდავების მოხვეჭაც.

...სალაშქროდ წასული სამი შვილის დედა, რომელმაც ორისა არაფერი იცოდა. მძიმე განცდებში იყო. ძნელი სათქმელია, რომელს უფრო უმძიმდა შინმოუსვლელ შვილებზე დარდი — თუკლეს თუ მის მეუღლეს დავითს. თუ დედა დღედღეზე მოელოდა შვილებს და თვალები მუდამ კარისკენ ეჭირა. დავითი მარტო უშკლავდებოდა ორი შვილის დაკარგვით გამოწვეულ მწუხარებას, დანამდვილებით იცოდა მოხუცმა ორივე შვილის — ლავრენტისა და თინას საბედისწერო ხედვრი: ერთი მოზღოვის მახლობლად ძმათა სასაფლაოში განისვენებდა მტრის ტყვიით გულგანგმირული, მეორეს კი, შორეული პომერანიის რომელიღაც ტბაში ჩამხრჩვალს, საფლავს მიწაც არ ღირსებოდა.

რამდენი სიფრთხილე და თავშეკავება მართებდათ ოჯახის წევრებს და ახლობლებს. დედას ბათი სევდიანი თვალებიდან რომ არ ამოეკითხა მის თავზე დატრიალებული უბედურება. ასე ფარულ ცრემლსა და შეკავებულ ვაებაში განვლეს წლებმა. იოსებიძეების ოჯახის

განი გახდა. უფრო მახლობელი და მშობლიური შეიქმნა ყველა ჩვენგანისათვის გორის რაიონის პატარა სოფელი თორტიზა, სადაც დაიბადა და აღიზარდა ჩვენი სახელოვანი გმირი ქალიშვილი. საქართველოდან სპეციალურად გაიზავნა მეცნიერი მუშაკი ქალაქ პოდოლსკში სახელობა კავშირის თავდაცვის სამინისტროს არქივის გადასათვალისწინებლად. ცოტად თუ ბევრად დაზუსტდა თინას ცხოვრების კოორდინატები ფრონტსა და ზურგში და აი, რა შეგვიძლია მოვეთხროთ ჩვენი ჟურნალის მკითხველებს თინა დავითის ასულ იოსებიძის — ამ გასაოცარი გმირი ქალიშვილის ტრაგიკული ცხოვრების შესახებ.

თინა ხუთ და-ძმას შორის შუათანა იყო. მამამის — დავით იოსებიძეს, ქართული თავადის ქარუმიძის ყოფილ მოკამაგიერეს, თორტიზაში განთქმულ გუთინსდევას ერთი პატარა ალიზის ქოხი ედგა, სადაც ღარიბულად იზრდებოდნენ ერთმანეთზე მიყოლებული წვრილი შვილები. დავითი და თედლე ბევრს ზრუნავდნენ შვილების საკეთილდღეოდ. ცდილობდნენ სწავლაში ტოლებს არ ჩამორჩენილდნენ ისინი. თუ მდიდრული ჩაცმა-დახურვით ვერ ანებივრებდნენ ბავშვებს, სამაგიეროდ უნერგავდნენ მათ კეთილშობილებას, ადამიანების სიყვარულს. საშობლოსადმი ერთგულებას.

იოსებიძეების ოჯახის უფროსი ვაჟი ლავრენტი, რომელიც სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თორტიზაში დაწყებითი სკოლის გამგედ დაინიშნა, ყოველმხრივ ხელს უწყობდა თავის და-ძმებს, ამჯერად თავის მოწაფეებს — ყოფილიყვენ სწავლაში მოწინავენი, ყოფაქცევაში სამაგალითონი, და ისინიც, რამდენადაც შეეძლოთ, ცდილობდნენ გაემართლებინათ მშობლებისა და უფროსი ძმის ამაგი. თინა, და-ძმებსა და ამხანაგებში სიმკვირცხლით და ვაჟკაცური სულით გამოჩნეული, მუდამ მოწინავეობისათვის მებრძოლი, სკოლაშიც კარგად სწავლობდა და დედასაც ეხმარებოდა საოჯახო საქმეებში. არც საორტულ შეჯიბრებებსა და გართობაში უთმობდა ტოლებს პირველობას. სინამდვილესაც ჯობინდა სიბრძნის, გუნდაო-

— მინდა, — გაბედულად უბასუხებდა თინა, — იმიტომაც ვრჩები კოლმეურნეობაში.

კოლმეურნეობაში თინა მერგოლურად დანიშნეს და ამავე დროს კომკავშირის ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს. თვითონაც ბევრს მუშაობდა და თანატოლებსაც შთააგონებდა პატიოსანი შრომისათვის. ამხანაგებს უყვარდათ იგი თავისი პირდაპირობის, უანგარობისა და შეუპოვრობის გამო, უყვარდათ და თინაც ერიდებოდათ მისი.

კოლმეურნეობაში სამი წლის მუშაობის შემდეგ თინამ გადაწყვიტა თბილისში განეგრძო სწავლა. მაგრამ იცოდა მამას თბილისში ორი შვილის შენახვა გაუძნელებოდა და პირველად მუშაობის დაწყებას შეეცადა. ამ მიზნით, მან თბილისის მაულ-კამეოლის ფაბრიკას მიაშურა. ბეჯითმა და მონდომებულმა გოგონამ მოკლე დროში აითვისა მქსოფლის პროფესია, სულ მალე მრავალდაზგოსანი მუშა გახდა და მუშათა საერთო საცხოვრებელში დაბინავდა. ფაბრიკაში დამკვიდრების შემდეგ ის ოცნებობდა წარმოებისაგან მოუწყვეტლად სწავლის გაგრძელებაზე. სწორედ იმ ხანებში ფაბრიკასთან გაიხსნა სამედიცინო დების წელიწადნახევრიანი კურსები. ფაბრიკის მრავალ მოხალისე ახალგაზრდა მუშას შორის თინაც ამ კურსების მსმენელი გახდა.

1941 წლის გაზაფხულზე თინამ დაამთავრა სამედიცინო დების კურსები, ხოლო ლავრენტი — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი. ლავრენტი დაინიშნა გორის რაიონის ახალსოფლის მტისის მექანიზატორად, თინა კი სამედიცინო-ინსტიტუტში შესვლას ფიქრობდა... ლავრენტიმ პირველი ხელფასი მიიღო, ოჯახის ყველა წევრს თითო საჩუქარი მიუტანა. ხარობდა იოსებიძეების ოჯახი. მრავალ გაჭირვებაგამოვილი მოხუცი მშობლები იმედის თვალთ შეპყრებდნენ ხუთი შვილის ბედნიერ მომავალს. ამ დროს დედამიწის ზურგზე გაისმა ამაზრუნვი სიტყვა: — ომი! — და ამ ომის ქარიშხალმა პირველ დღესვე შეაღწია იოსებიძეების ოჯახში.

და, აი, თინა და ლავრენტი ფრონტზე არიან. თინა სანინსტრუქტორია საზღვაო ქვეითი ჯა-

# უკანასკნელი სკოლა

მწუხარებას თორტიზაში ყველა იზიარებდა. მაგრამ არც ოჯახმა და არც თანასოფლელებმა ბოლო დრომდე არაფერი იცოდნენ იმაზე, თუ რა გმირული საფრონტო ცხოვრების გზა განვლო თინამ, როგორ აამაღლა მშობლების ამაგი, როგორ ასახელა მშობლიური სოფელი და მთელი საქართველო.

ორი წლის წინათ ბელორუსიის სამხედრო ოლქის გაზეთ «ვო სლავეუ როდინის» ფურცლებზე დაიბეჭდა პოდპოლკოვნიკ ბელოშევიის ნარკვევი «მთიელი ქალიშვილი», რომელიც გაზეთმა «ზარია ვოსტოკამ» გადამობეჭდა და იქიდან მთელს რესპუბლიკურ პრესას მოედო. სახელოვანი ქალიშვილის თინა იოსებიძის საგმირო საქმეებმა ისე აღაფრთოვანა ჩვენი საზოგადოებრივობა, რომ იოსებიძეების ოჯახი საყოველთაო ყურადღებისა და სიყვარულის სა-

ბაში, სიმალეზე ხტომაში და, წარმოიდგინეთ, ცხენოსნობაშიც.

— შენ, ჩემო შვილო, კაბა კი არა, შარვალი უნდა გეცვას! — ეტყოდა ხანდახან გოგონას მისი სიზაუქით გახარებული დედა.

როცა თინამ შვიდწლიანი სკოლა დაამთავრა, ლავრენტი თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი იყო, მისი მომდევნო დავრა — გორის აგროტექნიკუმის მოწაფე, ხოლო უმცროსი ძმები — იოსები და ლუარსაბი ჯერ კიდევ პატარაკები იყვნენ. თინამ გადაწყვიტა დროებით კოლმეურნეობაში ემუშავა, ერთგვარი პრაქტიკული შრომითი ჩვევებიც მიეღო და მოსწავლე და-ძმებსაც დახმარებოდა.

— რატომ არ აგრძელებ სწავლას? — ეკითხებოდნენ თინას ზოგიერთები, — არ გინდა გამოხვიდე ხალხში?

რის პოლკში, რომელიც მძიმე თავდაცვით ბრძოლებს ეწევა სამხრეთის ფრონტზე, შავი ზღვისპირა ქალაქში, ხოლო ლავრენტი ყუბანის მხარეთულებით იბრძვის.

განუწყვეტელი დაბომბვისა და ძლიერი სროლის დროს თინა უშიშრად აკეთებს თავის საქმეს — გააყვას დაჭრილები საფრებში, პირველ დახმარებას უწევს მათ. მეზღვაურები გაოცებული არიან ბრძოლაში გამოუცდელი ამ ნაწი, შავთვალა ქალიშვილის გამბედაობით და სიმამაცით.

აქვე, შავი ზღვის სანაპიროზე, პირველად დაიჭრა თინა. დიდხანს იწვა საველე პოსიტალში, თუმცა ამაზე არაფერი მიუწერია მშობლებისათვის, ზედმეტი სადარდელი რომ არ გასჩენოდათ ისედაც შეშინებულ მოხუცებს. გამოჯანსაღების შემდეგ, რაღაც ბედნიერი შემ-





...კვირით, სწორედ იმ ნაწილში მოხვდა, სადაც ასეულის მეთაურად მისი ძმა ლაგერენტი მსახურობდა. ერთხანს ისინი ერთად იბრძოდნენ, ფრონტის სიხარულს და გაჭირვებას იყოფდნენ ერთად ოცნებობდნენ გამარჯვებასა და შინ დაბრუნებაზე. მაგრამ ერთ-ერთ ბრძოლაში, მოზდოკის მახლობლად, ლაგერენტი სასიკვდილოდ დაიჭრა და თუმცა თინამ ყველაფერი გააკეთა, რაც კი შეეძლო ძმის სიცოცხლის გადასარჩენად, მაინც არაფერი გამოიყვინდა. ლაგერენტი მის ხელში დალია სული.

უსასწავლო მწუსარებაში მყოფმა და შურისძიების ცეცხლით ანთებულმა თინამ ძმას საბრძოლო ფიცა მისცა—არ შეერცხებინა მისი სახელი, თვალისჩინივით გაფრთხილებოდა თანამოძმეთა ჯანსაღი ღილაკს და ბრძოლით შესულიყო ბერ-

ლინში. ამ საბრძოლო ფიცის შესასრულებლად თინამ ასობით ჯარისკაცისა და ოფიცრის სიცოცხლე გადაარჩინა, იყო დონორიც, ოთხჯერ დაიჭრა. ბევრი სისხლი დაღვარა, მაგრამ არ დასთმო წინა პოზიციები. კავკასიიდან პომერანიაში ბრძოლით გაიარა რამდენიმე ათასი კილომეტრი დამწვარ-დაფერფლილი მიწა. მხოლოდ იმდროინდელ საფრონტო გაზეთებს და საბჭოთა არმიის არქივის გაყვითლებულ ფურცლებს შემოუნახავს თინას საგმირო საქმეები ყუბანში, ბელორუსიაში, პოლონეთში...

მარტო ბრესტის რკინიგზისა და სადგურ ჩერემხასათვის წარმოებულ შეტევით ბრძოლებში თინამ ბრძოლის ველიდან გამოიყვანა და სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა თექვსმეტ მძიმედ დაჭრილ ჯარისკაცს და ერთ ოფიცრს,

მრავალი საბრძოლო ორდენ-მედლით დაჯილდოებულმა, აქ კიდევ ერთი ორდენი დაიმსახურა...

1944 წლის შემოდგომა. ბელორუსიის პირველი ფრონტის მეომრები პოლონეთის საზღვართან უტყვენ მოწინააღმდეგეს. კალინკოვიჩის 356 მსროლელი დივიზიის პოლკებს ფართო ფრონტით მიაქვთ იერიშები გერმანელებზე. ბრძოლაში ჩაება მეორე მსროლელი ბატალიონი. ოცეული, რომელშიც თინა ირიცხებოდა, პირველი შეიჭრა მტრის განლაგებაში. გაისმა მეთაურის ბრძანება:

— მომყევით, ბიჭებო, სიკვდილი ფაშისტებს! რამდენიმე ნაბიჯის გადადგმისთანავე, მძიმედ დაჭრილი მეთაური დაეცა. თინა მივარდა და დაჭრილი მეთაური სანგარში ჩაიყვანა. გასისხლიანებული ფარაჯის ღილები შეუსხნა, კრილობა გულმოდგინედ შეუხვია და ზურგზე მოკიდებული საველე ჰოსპიტალში წაიყვანა. „საჭიროა სიჩქარე,“—ფიქრობდა ქალიშვილი. შორიახლო ჭურვი გასკდა, თინა დაჭრილს თავისი სხეულით გადაეფარა. როცა წამოდგა, მარჯვენა მხარში მწვავე ტკივილი იგრძნო.

— დამჭრეს რჯულძაღვლებმა!—შეკავებული მღელვარებით კბილებში გამოსცრა მან და კრილობა სასწრაფოდ შეიხვია.

— დამტოვე, თინა! სულ ერთია, ვეღარ მოვრჩები. შენ მაინც უშველე თავს!—ჩაესმა თინას ტკივილებისაგან გაწამებული მეთაურის ჩურჩული.

— არა, მეთაურო! ჩვენ ერთად შევალთ ბერლინში!—თქვა მან და კვლავ მხარში შეუდგა დაჭრილს, დიდი ვაივაგლახით საველე ჰოსპიტალში მიიყვანა. მეთაური გადარჩა...

პოლკის შეტევა წარმატებით დაგვირგვინდა. მოწინააღმდეგეს რამდენიმე კილომეტრით უკან დაახვეინეს.

ეს იყო ქალიშვილის მეოთხე კრილობა. პოლკის სარდლობამ კატეგორიული წინადადება მისცა მას, ახლა მაინც დარჩენილიყო მედსანბანში. მაგრამ თინამ არ უღალატა ძმისადმი მიცემულ ფიცს, სამი თვე ჰოსპიტალში მკურნალობის შემდეგ, ისევ მოწინავე პოზიციებზე წავიდა და არაერთხელ ისახელა თავი. ვარშავის ასაღებლად წარშობებულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის, სხვა მეომრებთან ერთად, თინა იოსებიძეს უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის ბრძანებით მაღლობა გამოეცხადა.

როგორც თავაწყვეტილი მდინარე ისწრაფვის ზღვისაკენ, ისე მიიწვედა თინა საბოლოო ფინიშისაკენ—ბერლინისაკენ. აი, 1945 წლის აპრილში ბელორუსიის პირველმა ფრონტმა ოდერზე გადასვლა და შემდეგ პოჰენცოლენერთა დიდი არხის ფორსირება დაიწყო. ბატალიონმა, რომელსაც კაპიტანი ბ. შვარცივი მეთაურობდა, შეტევაზე მყოფი დივიზიის ნაწილების ჩრდილოეთით დაიჭრა პლაცდარმი არხის დასავლეთ ნაპირზე. ამ პოლკში იმყოფებოდა თინა იოსებიძე. ღამით ჰიტლერელები ტანკების დახმარებით გააფრთხილეს კონტრიერიშზე გადმოვიდნენ. ძირითადი დარტყმა შვარცივის ბატალიონს დაატყდა თავს. ჩვენმა სარდლობამ საჭიროდ არ მიიჩნია საფრთხეში ჩაეგდო ადამიანთა სიცოცხლე და ბატალიონს უბრძანა პლაცდარმი დაეტოვებინა. მეომრები უკანასკნელ წუთამდე ხედავდნენ თინას გადმოსაკ-



ლელთან. მოწინააღმდეგის ტყვიის წვიმაში იგი კრილობებს უხვევდა დაჭრილებს, ეხმარებოდა მათ ნავებში ჩასხდომას.

როცა გაღმა ნაპირს უკანასკნელი ნავი ტოვებდა, ფაშისტთა რამდენიმე ტანჯი, რომლებშიც მეავტომატები ისხდნენ, გადმოსასვლელთან მოიჭრა.

— რუს, დაგვენბდი! — შესძახეს გერმანელებმა ნავში მსხდომ ბატალიონის მეთაურს და მეკავშირეებს.

— თინა, ჩქარა ჩამოხტი ნავში! — დაუძახეს ამხანაგებმა.

მაგრამ გვიანლა იყო დრო რომ მოეგო და ნავისთვის წასვლის საშუალება მიეცა. თინამ მძლავრად უბიძგა ნაპირიდან. თვითონ კი მარტო, სულ მარტო დარჩა ფაშისტ მეავტომატეთა შორის, მაგრამ ფიქრდაც არ მოსვლია ტყვედ დანებებულიყო. თინამ უკანასკნელი გრანატი სტყორცნა პიტლერელებს, ნავში მსხდომ ამხანაგებს შესძახა: „შვიდობით, მეგობრებო“ და არხის შავ წყალში გადაეშვა. გრანატმა დამეში იელვა, როგორც ამაყი საბჭოთა ქალიშვილის უკანასკნელმა სალუტმა...

როგორც ვთქვით, დიდი ხანი არ არის რაც ამ ამბავმა საქართველომდე მოაღწია. თორტიზელი დედის სატიკიარო მთელმა ქართველმა ხალხმა გაიზიარა. დედამ შვილი დაკარგა. ხოლო საქართველომ და ჩვენმა ქვეყანამ დიდი გულის ადამიანი, სამშობლოს უერთგულესი ჯარისკაცი.

ახლა თორტიზელი დედა არ ელოდება ფრონტელ შვილებს, სამაგიეროდ მათი ნამყოფი ადგილების ნახვით, მათი ფოტოსურათების ცქერით და მათ შესახებ მოყოლილი ამბების მოსმენით ინუგეშებს თავს. და იგი: თვალყრემლიანი, გვიჩვენებს სად იდგა თინას საწოლი, წიგნების კარადა, გვიამბობს მის ბავშვობაზე...

ვეცნობით ოჯახის დედაბოძს თექვსეც და მის შვილებს: კოლმეურნეობის აგრატექნიკოსს, იოსებს, კოლმეურნეობა „წითელი თორტიზის“ პარტორგანიზაციის მდივანს, ფრონტელს, მრავალი ორდენითა და მედლით დაჯილდოვებულს: ლუარსაბს — რუსთაველელ მფეოლადეს; ვეცნობით ლავრენტის ცოლს — კონსერვატრესტის სისტემის წამყვან მუშავს ელენე ნასყიდაშვილს და მის ვაჟიშვილს. სასოფლო-სამეურნო ინსტიტუტის სტუდენტს დათოს. ამ ტიპური საბჭოთა ოჯახის გაცნობის შემდეგ რწმუნდებით რომ ყველა ის საგმირო საქმე, რაც თინამ ჩაიდინა, სრულიად კანონზომიერია, ამ ოჯახის შვილს სხვანაირად არც შეეძლო მოქცეულიყო.

ყველგან — მშობლიურ ოჯახში, სკოლაში, კოლმეურნეობაში, მანუდკამფოლის კომბინატში, სადაც თინა იოსებიძეს თავისი ხანმოკლე ახალგაზრდობის წლები გაუტარებია, იგი ცოცხლობს და იცოცხლებს თავისი ლამაზი სიცოცხლით, დიდი ადამიანური გრძნობებით და ახალგაზრდული ოცნებით.

...და მოწინააღმდეგის ბანაკში გატყორცნილი უკანასკნელი გრანატი, რომელითაც თინა იოსებიძემ მტერი მოსპო, ხოლო თვითონ სიკვდილიდან უკვდავებისაკენ მიმავალი გზა წამიერად გაინათა, ჩვენს გულში იმბიანებს, როგორც გმირი ქართველი ქალიშვილის პატივსაცემად მიცემული სალუტი.

„საქართველო“

ის ყოველ დილის ექვს საათზე ფეხზეა. დაივილის ოთახებს, დააღებს ფანჯრებს. სიყვარულით გადახედავს ქმარ-შვილს. მერე პატარა საწოლთან შეჩერდება, ღიმილით დაიხრება, კულულებს დაუკოცნის გოგონას და სამზარეულოს მიაშურებს.

— ბები, ბებიკო. შენ გგონია ვერ გავიგე? — ჩვენ ხომ შრომა განაწილებული გვაქვს, — ტიტინით დაედევნება ტანია, — ასე არ მასწავლეს საბავშვო ბაღში?

სოფიო ბებია საუზმეს ამზადებს, ტანია მაგიდას აწყობს. საუზმის შემდეგ ოთახებს ალაგებენ. საქმეს მორჩებიან. სამოცი წლის ბებია და ექვსი წლის შვილიშვილი, ხელჩაკიდებული ეშვებიან კიბეზე.

ზღვა ლურჯად ლივლივებს. ზღვის ნაპირას, მალლოზზე ყვავილნარია. იქ თეთრწინსაფრიანი ბავშვები მტრედებივით დაგოგმანობენ. ეს გუდაუთის მეორე საბავშვო ბაღია.

19 წელია სოფიო სამანჯია ბალის გამგედ მუშაობს. პირველად მასთან ბავშვები ტირილით მოდიან, დედას ვერ შორდებიან, გვერდში ეკვრიან. სოფიო უცბად არ აშორებს მშობლების კალთას, თავისთან შეჰყავს ორივე, ბავშვს ხან ტკბილულს მიაწოდებს, ხან თოჯინას ამოურჩევს.

— დედიკო აქ დაეტოვოთ. — ეტყვის და ბუნების კუთხეში შეიყვანს.

— ეს ოქროს თევზი შენია, ჩემო საყვარელო, თუ საჭმელს არ აჭმევ, შიმშილით მოკვდება.

— მერე ცოდვა არ არის რომ მოკვდება? დედა ხომ იტირებს?

— დედა? ძალიან, ძალიან ბევრს იტირებს. — გოგონას ცრემლები თვალებზე შეაშრება.

— არა, დეიდა სოფიო, არ მოკვდება, — და პატარა ხელებით პურის ნამცეცებს ჩაუყრის.

მერე საცურაო ფიცარზე ჩამოასრიალებს. ახლა ბავშვებთან მიიყვანს, ამ გოგონამაც თქვას ლექსიო, — ეტყვის ძველებს და ახალმოსულს გააცნობს. გვიან დედასთან რომ შედიან, ბავშვი ხშირად თვითონ ამბობს, — შენ წადი, დედიკო, მე დეიდა სოფიოსთან ვიქნები, მალე მომაკითხე...

და ასე, ყოველთვის ერთნაირად იწყება პატარების ცხოვრება ამ ნათელ სახლში, სადაც მათთვის ბევრია სასიხარულო. თუ რაინე ლამაზ სათამაშოს შეხვდება, სოფიო საკუთარ ჯიბის ფულსაც არ დაიშურებს — ჩემს მერცხლებს გავახარებო...

მის გამოჩენას ბავშვები სიხარულით ეგებებიან:

— გამარჯობათ, დეიჯა სოფიო!

— გამარჯობათ, ჩემო მერცხლებო...

სათითაოდ მიუალერსებს. და აქ ივიწყებს მწუხარებას, რომელმაც დღესაც ჭიშკრამდე მოაცილა, მწუხარებას, რომელმაც სამუდამო იარა დაუტოვა გულში.

რვა წლის იყო, როცა დედამისი დაქვრივდა, მძიმე ძაძებით შეიმოსა. სამი მცირეწლოვანი ბავშვი დარჩა. ირგვლივ შიმშილი, სიტიტვლე. მივარდნილი სოფელი ღიხნი...



დედა, დილით გასული, ღამით შემოდის სახლში. სოფიოს დააწვა ოჯახის დიასახლისობა, ძმების — ოთხი წლის ვალეს და ექვსი წლის დათიკოს მოვლა.

ბინდდება. დედა არაა სახლში. იცის, დაღლილი მოვა და მშვიერი. ჭადს მაინც დაახვედრებს. ფიჩხისთვის გაიქცა. ძმები სახლში დატოვა.

— არსად წახვიდეთ, მე მალე მოვალო, — დაუბარა.

უკან დაბრუნებულს, მეზობლის ეზოდან დედის გულშემზარავი კივილი შემოესმა: მივიდა და ადგილზე გაქვავდა. ვალე არყის კასრიდან ნახევრად დამწვარი ამოიღეს. დედამაც მწუხარებაში დალია სული...


...სოფიო საეკლესიო სკოლაში სწავლობდა. მკვირცხლი იყო, ნიჭიერი და სოფელს უყვარდა. შემოწმებაზე ჩამოსულ ეპისკოპოსს თხოვნით მიმართა სოფელში და ეპისკოპოსმა სიღნაღის სასულიერო სასწავლებელში გადაიყვანა სოფიო. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სოხუმში დაინიშნა მასწავლებლად. დიჯხანს ვერ გასძლო, გულმა თავის სოფლისკენ გაუწია. სკოლაში გაკვეთილებს მორ-

— შეიძლება მეც ვტყუოდი, — ამბობს გულწრფელად. — ახალგაზრდები ვიყავით და ვერ გავუგეთ ერთმანეთს.

პატარა შურათი ფსირცხის შვიდწლიან სკოლაში გადავიდა მასწავლებლად. ახალგაზრდობამ თავისი გაიტანა. უწყინარ, გულმართალ აგრონომს მიხეილ აპოსტოლოვს დაუკავშირა ცხოვრება, მიხეილი ნამდვილ მამად მოევილინა შურას. მერე შვილი დედის კვალს გაჰყვა, პედაგოგია გუდაუთაში.

გულმა გამოიღარა. დღეს სიხარულს პატარების ცქერა უძლიერებს. აგერ, ერთ ჯგუფს ფერხული გაუჩაღებია. სხვები სარწყავებით ხელში ყვავილებს დასტრიალებენ. იქით სიმღერით აყრუებენ ბავშვები მიდამოს. მორიგეებს თავისი ვალდებულება არ ავიწყდებათ. პატარა ხელებით მაგიდებს აწყობენ. ასეა ყოველდღე.

მერე, როცა წამოიზრდებიან, ბავშვები, თვითონ მიაცილებს სკოლის კარებამდე, ყოველთვის აკითხავს და ამაცობს თავისი აღზრდილებით, ხოლო აღზრდილები — მისით. ჩვენი ქვეყნის რომელი კუთხიდან არ მოდის მოციოხვის ბარათები.



ჩებოდა თუ არა, მოზრდილებს ასწავლიდა წერა-კითხვას, მოხუცებს უკითხავდა საინტერესო წიგნებს, ყურნალ-გაზეთებს.

— გოგო, დროა ოჯახზე იფიქრო, — არ ასვენებდნენ. იფიქრა... და გადაწყვიტა, არ გაუმართლა კი.




— დეიდა სოფიო, სიბერეზე არაფერი თქვათ. — ეუბნებიან, — ახლა ჩვენი შვილები გელიან...

ლენინის ორდენით მკერდდამშვენებულ აფხაზ ქალს სიხარულის ცრემლები უნამავს თვალებს.

«დავებერდი? — არა»,

ოლია ჩხვიია





კატალი

ხალხური


უმოკვედების

ნიშუები



# სანდრო ეული

(დაბადების 70 წლისთავი)



ეურნალ „საბჭოთა ქალის“ მკითხველი კარგად იცნობს ალექსანდრე ქიშვარდის ძე ქურიძეს, რომელიც მწერლობაში სანდრო ეულის სახელითაა ცნობილი.

სანდრო ეული (ქურიძე) დაიბადა 1890 წლის 23 ოქტომბერს გურიის, სოფ. ზომლეთში. სანდროს მამა, ქიშვარდი უმიწაწყლო გლეხი იყო. მას ისლით გადახურული ქოხის და „ერთი მტკაველი“ ეზოს გარდა არაფერი გააჩნდა. ამიტომ ჭალადიდში მუშაობდა ქიშვარდი ტყის მჭრელად. იქ დაავადდა და გარდაიცვალა 1896 წელს. დედის ამარა დარჩენილი სანდრო, დიდი ვაივაგლახით მოეწყო სოფლის სკოლაში.

პატარა სანდრო მწვავედ განიცდიდა სიღარიბით წელმოხრილი გლეხების უბედურებას, განსაკუთრებით მოქმედებდა მასზე, როცა ჩაფრები აწიოკებდნენ ოჯახებს, უკანასკნელი ქვაბებიც კი მიჰქონდათ გადასახადში, რამდენჯერ უტირია პატარა ბიჭს გლეხის ქალების წივილ-კივილის შემყურეს!

სანდრო 1905 წლიდან აქტიურად ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, რისთვისაც სკოლიდან დაითხოვეს. დიდი გაჭირვებით ახერხებს იგი 1907 წელს ლანჩხუთის სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრებას.

ბედის უკუღმართობამ სანდრო ხან ჩაქვში მიიყვანა შავმუშად, ხან ჩოხატაურის ფოსტა-ტელეგრაფში უკრა თავი, ხან ფოთის ნავსადგურში მუშებში ატრიალა. აქედან ის მიემგზავრება ბაქოში, სადაც ფიზიკურად მუშაობს ბალახანის ელექტროსადგურსა და რკინიგზაზე.

რევოლუციური მოღვაწეობისათვის სანდროს 1914 წელს აპატიმრებენ და ბაილოვის ციხეში ათავსებენ. უკვე პროფესიული რევოლუციონერი, სანდრო ეული, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, საქართველოში ჩამოდის და აქტიურ პარტიულ მუშაობას ეწევა.

ამ დროისათვის ეული უკვე ცნობილი პოეტი და პუბლიცისტი იყო (ბაქოში თანამშრომლობდა ჟურნალ „წყაროში“, „ჩვენს წყაროში“, თბილისში—გაზეთ „ბრძოლაში“); მაგრამ მან დროებით კალამი გვერდზე გადადო და საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებისათვის ბრძოლაში თოვით ხელში გვერდში ამოუდგა თავის ხალხს.

1920 წელს სანდრო ეული ბოლშევიკური გაზეთის „კომუნისტის“ ოფიციალური რედაქტორია. იგი გაზეთის ფურცლებზე აანჟარავებს მენშევიკური მთავრობის გამყიდველურ პოლიტიკას, რისთვისაც მთავრობა მას აპატიმრებს და ქუთაისის ციხეში ათავსებს.

ქუთაისის ციხიდან რევოლუციონერები ბათუმის ციხეში გადაიყვანეს, მათ შორის იყო სანდროც, რომელიც ამომავალ მშენებელი მიეგება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას.

ამიერიდან დაიწყო სანდრო ეულის ცხოვრებაში ახალი ერა. იგი აქტიურად იბრძვის ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების ამენებისათვის.

სანდრო ეული 40-ზე მეტი სახელწოდების წიგნის ავტორია. მისი პოეზია ყოველთვის გამოირჩეოდა უშუალოდ და თემატიკის მრავალფეროვნებით. იგი თავის ნაწარმოებებში დებს სულსა და გულს, მოუწოდებს ადამიანებს იყვნენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის აქტიური მონაწილენი.

სანდრო ეული აქტიურად თანამშრომლობდა ახლადშექმნილ ჟურნალ „მშრომელ ქალში“, წერდა განათვისუფლებულ ქალებზე, მათს გმირობაზე. მის კალამს ეკუთვნის ლექსები: „ჩაის ველზე“, „ბალადა ნასაკირალის ჩაის მკრეფაზე“, „მოხუცი დედა“, „პარტიზანი დედა“, „აბრეშუმის მქსოველ ქალს“, „კოლმეურნე ქალი“, „აჭარელი ქალი“, „მუშა ქალი“, „ქალთა დედა“, „შეხვედრა დედასთან“, „მზის ასული“ და სხვა. ბევრი ამ ლექსთაგანი პირველად ქალთა ჟურნალში დაიბეჭდა.

სანდრო ეულს, გარდა ლექსებისა და პოემებისა, აქვს რამდენიმე პროზაული ნაწარმოები, პიესები. ეწევა მთარგმნელობით მუშაობასაც.

სანდრო ეულს 70 წელა შეუსრულდა, მაგრამ მისი სული გაუტყეულია, სხეული—ჯანმრთელი. მისი იუბილე არის ხალხის მადლობა თავისი შვილისადმი, რომელიც ხალხის სამსახურში იდგა, დგას და კვლავც დიდხანს გამოღვაწებს მის საკეთილდღეოდ.



# ქენია ქენია



ბას, აფრთხილებდნენ მათ მამას იაკობს: „სახლში დასვი შენი ქალიშვილები, თორემ დავაპატიმრებთ“.

1921 წლის იანვარში ოჯახს უბედურება ეწვია, გარდაიცვალა ქენიას მამა. ქენია ახლაც თვალცრემლიანი იჯონებს იმ საშინელ დღეებს, როცა უკუბოს შესაკრავი ფიცრები სახლის ჭერს გამოაძრეს...

\* \*

1921 წლის თებერვალმა ახალი ცხოვრება დაამკვიდრა საქართველოში. ისტორიას ჩაბარდა მენშევიკთა ბატონობა. დადგა ახალი დრო, ახალი იმედების, ახალი საქმიანობის დრო, რომელსაც უნდა ვანემტიციებინა ბრძოლით მოპოვებული თავისუფლება.

და ქენიაც ხალისით, გატაცებით მუშაობს ხიდისთავის ბოლშევიკურ ორგანიზაციაში. ახლა უფრო მეტია სამუშაო, საზრუნავი. მეტი სიფიზულა საჭირო, როცა აშკარა მტრები ფარულნი, შენიღბულნი გახდნენ. პარტიულ მუშაობასთან ერთად ქენია მონდომებით მუშაობს თავისთავზე.

1923 წელს ქენია ხიდისთავის პარტიულმა ორგანიზაციამ ოზურგეთის პარტიულ სკოლაში გაგზავნა. ახალმა გარემომ, სისტემატურმა მეცადინეობამ, ახალი ადამიანების გაცნობამ, მათთან ხშირმა შეხვედრებმა დიდი გავლენა მოახდინეს ქალიშვილზე. ქენია აქ დაუახლოვდა და დაუმეგობრდა ძველ ბოლშევიკ ქალებს—ალვასი თალაკვაძეს, ნატალია ქიქოძეს, პატკულია ჩხატარაშვილს, ქეთო აბაშიძეს და სხვებს, რომლებსაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის სახელოვან ისტორიაში ერთობ დიდი ღვაწლი მიუძღვით.

1924 წელს ქენიამ წარმატებით დაამთავრა პარტიული სკოლა და მუშაობა დაიწყო ოზურგეთის სამაზრო კომიტეტის ქალთა განყოფილებაში, მაშინ ამ განყოფილების გამგედ ალვასი თალაკვაძე იყო.

რამდენჯერ ფეხით მოუვლია ქენიას ახლანდელი ჩოხატაურის რაიონის მთიანი სოფლები, რამდენჯერ ასულა სოფელ სურბში კრებების ჩასატარებლად, სურბში, სადაც დიდხანს იგრძნობოდა მენშევიკთა გავლენა. დინჯად, აუჩქარებლად იტყოდა სათქმელს. მისთვის ჩვეული, დამაჯერებელი სიტყვებით ადვილად პოულობდა ადამიანთა მხარდაჭერას. თანაგრძნობას.

... კოლექტივიზაციის წლები... კულაკობასთან ბრძოლა... და ქენიაც პარტიული დავალებებით ხან ერთ სოფელშია, ხან მეორეში. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში მანაც შეიტანა თავისი წვლილი.

უმწიკვლო, პატიოსანი შრომით დაიმსახურა მან ხალხის სიყვარული. წლების მანძილზე ქენია ქავთარაძე სხვადასხვა პასუხსაგებ პოსტებზე მუშაობდა მახარაძის რაიონში, ახლა კი პერსონალური პენსიონერია—ღირსეულად დაუფასდა თავდადებული შრომა.

\* \*

ძველი ბოლშევიკი ქალი ქენია ქავთარაძე, აქტიური საზოგადო მოღვაწე და პარტიული მუშაკი, აწვევს დროს ოჯახის საუკეთესო დიასახლისი, მოსიყვარულე დედა და აღზრდელა. ორი შვილი, ორი შესანიშნავი ახალგაზრდა—ალუზარდა—სამშობლოს, ორივე—რევაზი და ლილი ექიმება და რაიონის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას ემსახურებიან.

ბედნიერია ახლა. ნაშვილად ბედნიერი ქენია. ხარობს შვილებით და შვილიშვილებით. უფროსი შვილიშვილი ირინე, ახლა 4 წლის რომაა, ავადმყოფობით ლოგინზე მუკაჭკულ ბუბას ართობს ემავე ლექსებითა და ზღაპრებით, რომლებიც ბუბასაგან ისწავლა. უფრო ბედნიერი იქნებოდა მეუღლეს რომ მოსწრებოდა შვილების ბედნიერებას, შვილიშვილებს...

განსაკუთრებით ტკბილია მისთვის სადამო, როცა ყველანი თავს მოიყვარა, მოვლენ სიძე-ქალიშვილიც. ჰყვებიან ძველსა და ახალს... ძველი ყოველთვის საინტერესოა, ამაღლებელი, ზოგჯერ ნაღვლიანიც, ახალი კი მზიარული, იმედიანი და ნათელი.

ელ. შვხარდნაძე

აგი პირველი შეხედვისთანავე იპყრობს თქვენს ყურადღებას. მიმზიდველი, კეთილი და სანდომიანი სახე აქვს. დრეჯი, აუჩქარებელი საუბრით კიდევ უფრო გიხილოვებს და გიზიდავს, გინდა ღრმად ჩაიხედო ამ კეთილშობილი ქალის სულში, დაინახო და შეიგრძნო ექვსი ათეული წლის მანძილზე მის მიერ განვლილი მრავალი განცდებით, მწუნარებითა და სიხარულით აღსავსე ცხოვრების გზა.

1900 წელს, სოფელ ხიდისთავში (ოზურგეთის მაზრა), ღარიბი გლეხის ოჯახში დაიბადა ქენია ქავთარაძე. ქენიას მამა—იაკობი, ოჯახი რომ გამოეკვება, იძულებული იყო წასულიყო ჭიათურაში, შავი ქვის მალაროში დაეწყო მუშაობა.

ქენია სკოლაში სწავლის დროს, თავისი უფროსი დის ნინოს მეშვეობით, რომელიც 1918 წლიდან ბოლშევიკური პარტიის წევრი იყო, დაუახლოვდა ხიდისთავის ბოლშევიკურ ორგანიზაციას, რევოლუციურად მოაზროვნე ადამიანებს. მათი საშუალებით გაეცნო იგი არალეგალურ ლიტერატურას—მარქსის, ლენინისა და სტალინის ნაშრომებს.

1919 წელს ქენია ბოლშევიკური პარტიის რიგებში შედის.

ოჯახში, სადაც ქენია იზრდებოდა, ხშირად იმართებოდა არალეგალური კრებები. 1919 წელს მოეწყო ბოლშევიკთა არალეგალური კრება. სადაც გადაწყდა ბოლშევიკური კონფერენციის მოწვევა და დაინიშნა მისი ჩატარების ადგილი. როგორც ცნობილია, ამ კონფერენციაზე განხილული იქნა მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მოწყობის საკითხი.

დები—ქენია და ნინო ქავთარაძეები აქტიურად მონაწილეობდნენ კონფერენციის ჩატარებაში. ქალიშვილებმა იზრუნეს კონფერენციის დეკრეტების დაბინავებაზე. მათი სურსათ-სანოვარით მომარაგება და მოსახლეობაში პროკლამაციების გავრცელება ქენიას დაევალა. მანვე ხიდისთავის ბოლშევიკური ორგანიზაციისაგან მიიღო საპატიო დავალება—კონფერენციის გახსნის დღისათვის შეეკრა და მოეპარვა ხიდისთავის ბოლშევიკური ორგანიზაციის წითელი დროშა.

საქართველოში მენშევიკების ბატონობის წლებში ძნელი იყო არალეგალური რევოლუციური მუშაობა. მაგრამ ქენიას ნებისყოფა როდი გასტეხია. იგი ფრთხილად მოქმედებდა. ოსტატურად ეწეოდა აგიტაციას ხალხში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. დაუნდობლად ამხელდა მენშევიკური მთავრობის ვერაგობასა და ფარისევლობას. ამ წლებში ქენიამ ბევრი ახალგაზრდა შემატა ბოლშევიკური ორგანიზაციის რიგებს, ნათელი მიზნისაკენ მიმავალ გზაზე გაიყოლა ისინი. ქენიას რევოლუციური მუშაობა შეუმჩნეველი არ დარჩათ მენშევიკური მთავრობის მოხელეებს. მეთვალყურეობა დააწყეს ქალიშვილისადმი, შეავიწროვეს მისი ოჯახი. ხიდისთავის თემის მამანდელი მესვეურები ქენიას და მის უფროს დას ხშირად არ აძლევდნენ სახლიდან გამოსვლის უფლებას.





# კონსერვატორიის აღზრდილები



საქართველო მუსიკალური ქვეყანაა. მისი ხალხი დიდი მუსიკალური ნიჭითაა დაჯილდოებული. მაგრამ თუ ყველა ქართველი ამ დარგში ტალანტს არ ამჟღავნებს, მუსიკა მაინც ყველას უყვარს. ჩვენ გვყავდა ფალიაშვილი და არაყიშვილი, სარაჯიშვილი და ინაშვილი, გვყავს და გვეყოლება მათი შთამომავლები, ქართული მუსიკალური კულტურის მოღვაწეები.

ორკესტრის თანხლებით, სიმფონიური უკერტიურა „მშვიდობისათვის“ და სხვა.

საკმაოდ გაითქვა სახელი ახალგაზრდა კომპოზიტორმა და პიანისტმა დალი ჩხეიძემ ფორტეპიანოსათვის დაწერილი თავისი „პრელუდიით“, „ესკიზით“, სონატით, ვიოლინოსათვის ფორტეპიანოს თანხლებით შექმნილი „მელოდიით“, „დიუმორესკით“, სამნაწილიანი საფორტეპიანო კონცერტით სიმფონიური ორკესტრის თანხლებით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ცოტა ადრე—1917 წლის შემოდგომაზე თბილისში არსებული მუსიკალური სკოლისა და მუსიკალური სასწავლებლის ბაზაზე შეიქმნა მუსიკალური განათლების კერა—კონსერვატორია. და ორმოც წელზე მეტია აქ მოდიან, სწავლობენ, ეუფლებიან მუსიკალურ ცოდნას, მერე მიდიან კომპოზიტორებად, მომღერლებად, პიანისტებად, პედაგოგებად.

კონსერვატორიის ჰყავს შესანიშნავი პიანისტი ქალები—ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, დამსახურებული პედაგოგი, პროფესორი თამარ ჩხარტიშვილი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საფორტეპიანო კათედრის გამგე, პროფესორის მოვალეობის შემსრულებელი დოცენტი თამარ ჩარექიშვილი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორის მოვალეობის შემსრულებელი ვანდა შიუკაშვილი და სხვები. ისინი აქ, თბილისის კონსერვატორიის კედლებში აღაზარდნენ, თამარ ჩარექიშვილი განათლების სრულყოფისათვის წავიდა რესპუბლიკის გარეთაც, მაგრამ მაინც დაბრუნდა მიზნად ქართველი მუსიკოსების აღზრდა დაიხასა და დღესაც ამ საქმეს ემსახურება.

ჩვენი ბავშვები კარგად იცნობენ საფორტეპიანო პიესების, საბავშვო სიმღერების და ოპერა «იანანას» ავტორს თამარ შავერზაშვილს, რომელმაც ქართული საბავშვო მუსიკალური რეპერტუარი გაამდიდრა დიდი გემოვნებით შექმნილი ნაწარმოებებით.

ისინი მოსწავლეებთან მშაობისას ცდილობენ არ გამოეღვინონ ეფექტებს ხელოვნებაში, მისიწრფიან განცდის გაღრმავებისა და შესრულების კეთილშობილებსაკენ. მოსწავლეებს უვითარებენ შემოქმედებით ფანტაზიას, კარგ ჟღერადობას, აჩვენებენ მიმზიდველად დაკვრას, ტექნიკურ თავისუფლებას და შესრულების უშუალოებას.

ოღლა ბარამიშვილის ნაწარმოებები—„სიმღერა ქარიშხალაზე“, „სიმღერა სამამულო ომზე“, „ალიარება“, „კავკასია“, „ზვავი“, სიმფონიური პოემა «შვლის ნუკრის ნაამბობი» ფართოდ ცნობილია საზოგადოებისათვის.

1936 წელს მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე წარმატებით ასრულებდა მარგარიტას პარტიას პუნოს ოპერა «ფაუსტში» თბილისის კონსერვატორიის აღზრდილი ეკატერინე სოხაძე (ლირიკულ-დრამატული სოპრანო). თბილისის საოპერო თეატრში მისი მთავარი პარტიები იყო: ეთერი (ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“), მარო (ფალიაშვილის „დაისი“), ნინო (არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“), ლელო (კილაძის „ლადო კეცხოველი“), ნესტანი (მშველიძის „ამბავი ტარიელისა“) და მრავალი სხვა.

მრავალმხრივია ქართველი კომპოზიტორი ქალების—ელეონორა ექსანიშვილისა და ქეთევან თუმანიშვილის მუსიკალური მოღვაწეობა. ამასთან, ისინი პიანისტებიც და ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატებიც არიან.

1929 წლიდან თბილისის საოპერო თეატრში მეცო-სოპრანოს პარტიებს წარმატებით ასრულებდა ნაღვედა ცომაია. შემდგომში იგი ლენინგ-

აღსანიშნავია ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატების—პიანისტის დაგმარა სლიანოვა-მიზანდარის, პიანისტის და მუსიკის ისტორიკოსის თელეე ძიძაძის და მუსიკის ისტორიკოსის თამარ გელაძის მოღვაწეობა.

საბავშვო სიმღერებით, კერძოდ, საბავშვო სიმღერების ორი ციკლით, პოპულარობა მოიპოვა კომპოზიტორმა მერი დავითაშვილმა. მის შემოქმედებაში მთავარი ადგილი უჭირავს ვოკალურ და კამერულ-ინსტრუმენტალურ ნაწარმოებებს. გვხვდება სხვა ჟანრის ნაწარმოებებიც—სიმფონიური სუიტა ოთხ ნაწილად, ერთნაწილიანი კონცერტი ფორტეპიანოსათვის





რადის ოპერისა და ბალეტის თეატრში მიწვივის. სახელგანთქმული კამერული მომღერალ-ხალხური სიმღერების საუცხოო შემსრულებელი რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნადეჟდა კომაია ამჟამად კონსერვატორიის ვოკალური კლასის პედაგოგია.

ქართული ხელოვნების პირველ დეკადაზე მოსკოვში საპატიო ნიშნის ორდენით დაჯილდოვებს კონსერვატორიის სტუდენტი ნადეჟდა ხარაძე (ლირიკულ-კოლორატურული სოპრანო), შემდგომში იგი წარმატებით გამოდიოდა თბილისის საოპერო თეატრში და კონცერტებზე. რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ლენინის ორდენისანი მომღერალი დღეს კონსერვატორიაში ვოკალურ კლასს ამჟამად ინჟინერს.

ოცდაათა წელსა ხიზლავს მსმენელს რესპუბლიკის სახალხო არტისტი მერი ნაკაშიძე (ლირიკულ-კოლორატურული სოპრანო). მოსკოვლებს ახსოვთ მისი გამოსვლები ქართული ხელოვნების პირველ და მეორე დეკადაზე. შესანიშნავი მომღერალი, — ასე იცნობენ მერი ნაკაშიძეს, არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც.

თბილისის კონსერვატორია ასახელა პოპულარულმა მომღერალმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ლელია გოცირიძემ, მისი მშვენიერი ხმა (მეცო-სოპრანო) და სცენური ოსტატობა აღიარეს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი იულია ფალიაშვილი (კოლორატურული სოპრანო) მსმენელებმა სამამულო ომის წლებში გაიცნეს, როგორც თბილისის საოპერო თეატრში მთავარი პარტიების ნიჭიერი შემსრულებელი.

10 წელია მღერის თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე თამარ თაქთაქიშვილი, (ლირიკული სოპრანო), მღერის როგორც მზარდი მომღერალი. რესპუბლიკის ამ დამსახურებულ არტისტს წინ ახალი წარმატებები ელის.

ბოლო წლებში ჩვენი ვოკალური კადრების აღზრდისა და დაოსტატების საქმეში დიდ როლს ასრულებს კონსერვატორიის საოპერო სტუდია. მისი აღზრდილები არიან თბილისის საოპერო თეატრის სოლისტი მედეა ამირანაშვილი (ლირიკული სოპრანო), პრადის გაზაფხულის ლაურეატი, ამჟამად კიევის საოპერო თეატრის სოლსტი ლამარა ჭყონია (ლირიკული სოპრანო) და სხვები.

თბილისის კონსერვატორიასთან არის დაკავშირებული სამი საერთაშორისო კონკურსის — კუბელიკის, ვენიავსკის და იზაის სახელობის კონკურსების ლაურეატის მარინე იაშვილის (მევიოლინე) სახელი. ვენის მსოფლიო კონკურსის ლაურეატია კონსერვატორიის პირველი კურსის სტუდენტი ელისო ვირსალაძე (პიანისტი), ამჟერკავკასიის მუსიკოსშემსრულებელთა კონკურსის ლაურეატია მარინე იაშვილი და, მეორე კურსის სტუდენტი ირინე იაშვილი (მევიოლინე).

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია (დირექტორი ი. ტუსკია) ჯერ ახალგაზრდა და ბევრი რამ მოასწრო. მას სახელოვანი აღზრდილები ჰყავს და აღსაზრდელებს კიდევ ბევრს ელის. მოვლენ, ისწავლან, დაეუფლებიან ცოდნას, წავლენ, წავლენ და მოუხვევენ სახელს ქართული მუსიკალური კადრების სამშველდოს.

მეტი კაკაბაძე-წერეთელი, მუსიკათმცოდნე.



აურათებზე: 1. ეკ. სოხაძე, 2. ნ. ცომაია, 3. ნ. ხარაძე, 4. მ. ნაკაშიძე, 5. ე. გოსტინინა, 6. ლ. გოცირიძე, 7. ი. ფალიაშვილი, 8. თ. თაქთაქიშვილი, 9. მ. აშირანაშვილი, 10. ე. ძიძაძე, 11. მ. იაშვილი: 12. კომპოზიტორები: ე. თუმანიშვილი, დ. ჩხეიძე, ე. ექსანიშვილი, მ. დავითაშვილი, 13. ნ. ჩარქიშვილი, 14. ვ. შიუკაშვილი, 15. თ. ჩხარტიშვილი.





თბილისის 23-ე საშუალო სკოლის სპორტულ დარბაზში პატარა გოგონები ყოჩაღად ასრულებენ ფიზკულტურის მასწავლებლის მითითებებს. გაკვეთილის დამთავრებისთანავე გარს ეხვევიან მას, ეჩქარებათ გაიგონ, როდის გახდებიან ნამდვილი სპორტსმენები! მზია მასწავლებელი კი დამრიგებლური საუბრით ცდილობს მათ ბავშურ ოცნებას რეალური სახე მისცეს.

მზია ჯუღელი სპორტის დამსახურებული ოსტატია. მან კარგად იცის პედაგოგის საპასუხისმგებლო მოვალეობა. იგი დღესაც პატივისცემით და სიყვარულით იხსენებს თავის პირველ მასწავლებელს შ. ბოსტაშვილს, რომელიც მას სწორი გზის არჩევაში დაეხმარა — გულუბრყვილო ბავშვური შეჯიბრებებიდან სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდებაამდე მიიყვანა.

...გურჯაანის საშუალო სკოლის ეზოში ბავშვებს შეჯიბრი გაუმართავთ სირბილში, ხტომაში. არის ერთი ყვირილ-ხივილი, ყველა გოგონა თუ ბიჭუნა ცდილობს თავისი ძალა გამოსცადოს. ფიზკულტურის მასწავლებელი შ. ბოსტაშვილი ინტერესით ადევნებს თავს მათ, არ ეპარება შეცვგრემანი, ცოცხალთვალეობა გოგონას სიმკვირცხლე, მოქნილობა. ეს ხომ მათი ექიმის ნ. ჯუღელის ერთადერთი შვილია—მზია...

დღე დღეს მიყვებოდა, თვეები თვეებს, გოგონა ყოველთვის ირჩეოდა თავის თანატოლებში. შ. ბოსტაშვილის ხელმძღვანელობით მზიამ დაიწყო სისტემატური ვარჯიში და 1937 წლის დეკემბერში სარაიონო შეჯიბრებაში მისი გამოსვლა გამარჯვებით დამთავრდა. ხოლო იმავე წელს თბილისში რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მესამე ადგილი დაიკავა... პირველი გამარჯვება სპორტულ ტანვარჯიშში... პირველი საჩუქრები... მეგობრები, ნაცნობები, უცნობები—ყველა ულოცავს პატარა გოგონას სპორტულ მიღწევებს.

1938 წელს ნ. ჯუღელის ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადამოვიდა. მათი გოგონა სწავლას თბილისის მეორე საცდელ სკოლაში განაგრძობს. მზიას ლაღმა ბუნებამ მალე შეაყვარა იგი ახალი სკოლის ამხანაგებს. გოგონა აღრინდელი გატაცებით შეცადინებდა სპორტში.

1939 წელს მზია უდიდესმა სიხარულმა მოიცვა, იგი გაგზავნეს ლენინგრადში მოსწავლე გოგონების საკავშირო შეჯიბრზე. თუ მზიას ამ შეჯიბრში მონაწილეობის მიღება ახარებდა, მისმა ჩემპიონობამ ქართველ მოსწავლეთა ალტაცება გამოიწვია. მეორე წელს იგივე შედეგი გამოიღო მოსკოვში. აქაც პირველი ადგილი აიღო. ბეჯითი გოგონა არც სამამულო ომის მძიმე წლებში იფიცებს თავის გატაცებას და შეძლებისდაგვარად განაგრძობს მეცადინეობას სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

1945 წელს მზია გამოდის საკავშირო შეჯიბრზე მოზრდილ თანრიგოსანთა შორის. იკავებს რა პირველ ადგილს, 1946 წელს უკვე ჩემპიონია ოსტატის თანრიგით ბეჯით ხტომებში. ყოველ წელს მოაქვს ახალი წარმატებები. მისი ცხოვრება იქცა სწრაფად მუდმივი გამარჯვებისაკენ. ამ სიხარულს მალე დედობაც დაემატა. მზიას ქალიშვილი ირინე შეეძინა. ამ



# მზია ჯუღელი

ახალმა მოვალეობამ მცირე ხნით ჩამოაშორა სპორტს. თუ აღრე მთელ დღეებს სპორტულ დარბაზში ატარებდა, ახლა პატარა ირინეს უნდებოდა. სპორტსმენი ქალის დაუდგომელმა, ენერგიულმა ბუნებამ დედის ფაქიზ გრძნობას შეუფარდა საზოგადო საქმისადმი სიყვარული. 1950 წლიდან 1956 წლამდე იგი ყოველთვის პირველ ადგილზეა ბეჯით ხტომებში და რკოლებზე. საერთაშორისო ფესტივალებზე მისი გამოსვლა ბრწყინვალედ გვირგვინდება. 1952 წელს პელსინკში უმაღლეს შეჯიბრებასთან ერთად მზია იღებს სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდებას.

მზია ჯუღელი მონაწილეობს მსოფლიო ამხანაგურ და საჩვენებელ გამოსვლებში. წარმატებებს არ დაუხვევია თავბრუ ახალგაზრდა ქალისათვის. მან სპეციალური განათლება მიიღო — 1957 წელს დაამთავრა თბილისის ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი.

სუფენივრებით, თასებით, ლარნაკებითაა სავსე მზიას ბინა და უნებურად გაგონდება, რომ ადამიანის გაცნობა ხშირად მისი ნივთებითაც შეიძლება.

მზიას გოგონაც არანაკლებადაა გატაცებული სპორტით, იგი 37-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასის ხუთოსანი მოსწავლეა. დედას ეამაყება შვილის წარმატებები სპორტში, სიყვარულით შლის სპორტულ შეჯიბრებებში მიღებულ შვილის სიგელებს, ირინემ ორჯერ მოიპოვა პირველი ადგილი მოსწავლეთა შორის გასულ წელს სარაიონო შეჯიბრისას სირბილში და მიმდინარე წლის გაზაფხულზე სივრცეზე ხტომაში.

და განა მართლ მისი შვილის მიღწევებზე ფიქრობს მზია? მან 1960 წელს თავისი სურვილი შეფთობა აიღო 23-ე სკოლაზე, სადაც დაწყებით ჯგუფებს ამეცადინებს ტანვარჯიშში.

სპორტის დამსახურებული ოსტატი, მრავალგზის ჩემპიონი, თოთხმეტი ოქროს, შვიდი ვერცხლის, ხუთი ბრინჯაოს მედლის მფლობელია. მზია ჯუღელი, 1954 წლიდან საქალაქო საბჭოს დეპუტატი, 1958 წელს საბჭოთა მთავრობამ საპატიო ნიშნის ორდენით დააჯილდოვა.



ნაზი თარგამაძე

მელეჟონით სუბაკრი

მძინარე ზისო

საათი დაჟვალე

ტახტზე მძინარე დიდელას  
გადავაფარე თავშალი,  
და მადვიძარა საათი  
სულ ნაწილებად დავშალე.

რომ გაიღვიძებს დიდელა  
ნახავს და კიდევ მიხვდება,—  
საათის დაშლა-აწყობა  
წელს უფრო მიადვილდება.

\* \* \*

წელს ზაფხული სოფელში  
გავატარე ბებოსთან.  
ჩემი ხელი დავატყვე  
ჩვენს ბაღსა და ჩვენს ბოსტანს.

ყოველ დილა-საღამოს  
წყალს ვზიდავდი კასრებით,  
მოწყურებულ ბოსტნეულს  
ვასმევდი და ვასმევდი.

წყალს ვასმევდი ბოსტნეულს,  
ბაღახებსაც კი არა,  
სარეველა გავახმე  
თავის ფესვებიანად.

როგორ მიხვდა გუბია?

კიდევ გამომიგზავნა  
ბებომ თბილი წინდები—  
შარშანდელზე ფაფუკი,  
შარშანდელზე დიდები.

როგორ მიხვდა ნეტავი  
ჩემი კარგი ბებია?  
რომ ის ძველი წინდები  
დამატარა ვეგები.

ეთერ ჯღაბაძე

ზურაბის სიხარული

ჩივის ზღაპარს ზურაბის  
უამბობდა ბებია,  
შვილიშვილს ვი ვალთაში  
ცუბილად ჩასმინებია.

ბოცა ბებო კოცნიდა  
ზურაბის სუქუქითმიანს,  
ზურაბი სიხარულად იაჭობდა  
ჩიფებს ლამაზ ფრთხიანს.

ალლო! ალოლო! ბოლოში სატ?  
— გამარჯობა ნანული,  
მელოდები? მე იცი,  
საქმიანი ვარ გართული.

ვუ ბამდენი ვინაობა,  
დავიღალე მალიან,  
ფისო, მურა, მამალი  
ყველა მთქმე აბიან.

ბამდენს საბრძოლი  
გაჭრეცხე და გაფინე,—  
დღეღამის სავსეა,  
მისი სამნის საპირი.  
და ბამდენი ვინაობა—  
განა დათვლის ვინაობა მათ?  
ღვთს მთელი დღე იმდღე  
მოსჯენა არა მადგს.

მ. ზოგოლაშვილი

ბ ე ლ უ რ ე ბ ი

ბელურებო, ბელურებო,  
სიტყვა აღარ გეყურებათ?  
ყოველთვის რომ გემდურებათ,  
ყოველთვის რომ გეცინებათ,—  
ნუ ყრიალებთ აივანზე  
დედოფალას ეძინება.

ვ ე კ ს კ ვ ე ა ვ ე ბ ი

ერთი, ორი...  
ხუთი... ათი...  
ძნელი არის დათვლა მათი.  
ციცინათლის სადარები,  
დიდები და პატარები—  
ღამით მუდამ ციმციმებენ,  
წუთსაც კი არ იძინებენ.  
მხოლოდ დრო-დრო დადლილები  
დახუჭავენ თითქო თვალებს.  
ერთხელ ღამით აივანიდან  
ვთვალე, ვთვალე, ვერ დავთვალე.  
ათი... ოცი... ოცდაათი...  
აქეთ, იქით, ყველგან ბრწყინავს,  
ვთვალე, ვთვალე,  
ვერ დავთვალე  
და ამ თვლაში ჩამეძინა.  
გამეღვიძა მხოლოდ დილით,  
გარეთ ქროდა სიო ფრთხილი,  
ვარსკვლავები არსად იყო,  
ყველა ერთად გამქრალიყო.

ფისო, რა მძინარა სატ,  
გაიღვიძე ახლავე,  
თხრამე ბებოს კიდმანს  
თავგუნდში დასტავენ.  
წივსაბ, თვლებ და ვრუტუნებ,  
ნეთე ბილი არ გეცო,  
ბბის ქალა არ დაფიფე  
თვალში არ ჩავიფო.  
ან ქურბობ და ან გბინავს,  
სულ არ დაბრძო აბაფურს,  
ადე, თხრამე თავგუნდ  
მენე მთგინაბაფენ.

მ. ზოგოლაშვილი

სახლის მშენებლები

გზა მიეცით ტატოს,  
მოჰყავს თოქით ავტო.  
ყვირის: «აბა, მალე,  
მა, გზა დამიცალეთ!»

ალისფერი დროშა  
უფრიალებს ხელში.  
მშენებლობისათვის  
მოაქვს ქვიშა-ხრეში.

შოთა მიწას ზელავს,  
თინას მოაქვს წყალი.  
აშენებენ კედლებს  
ზურაბი და ლალი.


მუშაობენ სწრაფად,  
მონდომებით, გამრჯედ,  
ერთიანი შრომით  
საქმე მიჰყავთ მარჯვედ...

ააშენეს სახლი,  
გადახურეს კიდეც,  
და აივანს კოხტა  
გაუკეთეს კიბეც.

აგერ რეზო სახლის  
ფანჯრებს ხატავს დინჯად.  
«ინჟინერი» დათო  
მშენებლობას სინჯავს.

დიდი ძალა შესწევთ  
მათ პატარა ხელებს.  
— მომავალში ყველა  
შრომით გვასახელებს.





# მიტრიჩის ნაძვის ხე

ნიკოლოზ ტაღუშოვი

მხატვარი თ. მირზაშვილი

შობის წინა დღე იყო...  
სამხედრო სამსახურიდან გადამდგარი ჭაღარაშერეული სემიონ დმი-  
ტრიჩი, ან უბრალოდ მიტრიჩი, რომელიც გადასახლებულთა ბანაკის\*  
დარაჯი იყო, ჩიბუხის წვეით მიუახლოვდა ცოლს და მხიარული  
საუბარი გაუბა:

— დედაბერო, რომ იცოდე, რა მოვიფიქრე!

სადღესასწაულო სამზადისში გართული, სახელოებდაკარწანებული  
და საყელოგადაღელი აგრავინა სამზარეულოში ფუსფუსებდა.

— გესმის, დედაბერო,—გაიმეორა მიტრიჩმა,—რომ იცოდე, რა მო-  
ვიფიქრე!

— ისა სჯობია, ცოცხით აი, ის აბლაბუდა ჩამოწმინდე!—უბასუხა  
ცოლმა და ობობას ქსელისკენ ხელი გაიშვირა.—შეხედე, რამდენი აბ-  
ლაბუდაა გაბმული. რომ გეუბნები, ადექი და ჩამოწმინდე!

მომღიმარმა მიტრიჩმა ჭერს მოავლო თვალი და მხიარულად გა-  
ნაგროძო:

— აბლაბუდა არსად გამექცევა, ჩამოვწმინდე. შენ კი მისმინე, დედა-  
ბერო, რა გითხრა.

მიტრიჩმა ჩიბუხი გააბოლა, წვერებზე ხელი ჩამოიხვა და სკამზე  
ჩამოჯდა.

— აი, რა მინდა გითხრა...—დაიწყო გაბედულად, მაგრამ უმაღ-  
ენა დაება.—ჰო, მინდა გითხრა, შობა ახლოვდება, ყველა დღესასწაუ-  
ლობს, ყველასათვის სიხარული მოაქვს მას... ხომ მართალია, დედა-  
ბერო?

— მერე?

— მერე მეც იმას ვამბობ, ყველა მხიარულობს, ყველა თავისი საქ-  
მით არის გართული: შოგმა ახალი ნივთები შეიძინა სადღესასწაულოდ,  
შოგი ნადიმს გამართავს... შენ, მაგალითად, ოთახი გექნება სუფთა,  
დალაგებული, მე კი ჩემს ჭიას გაწახარებ: ღვინოსა და ძხვებს ვიყი-  
დი!.. ყველა იმხიარულებს, ხომ მართალია!

— მერედა რა გინდა თქვა,—გულგრილად ჰკითხა მოხუცმა.

— ის მინდა ვთქვა,—კვლავ ამოიხსრა მიტრიჩმა,—რომ ყველა  
იღღესასწაულებს, აი, ის ჩვენი ბავშვები კი ვერაფერს კარგს ვერ ნა-  
ხავენ... გაიგე? ვუყურებ ამ ბავშვებს და ვფიქრობ: ეჰ, რა უსამართ-  
ლობაა ამ ქვეყანაზე! ყველამ იცის, რომ ობლები არიან... ხშირად ჩემ-  
თვის ვფიქრობ, ხოლმე, დედაბერო, რა უსამართლობაა, არა? რატომ  
ხდება ასე—ადამიანები მხიარულობენ, ობლებს კი, აბა, რა აქვთ სამ-  
ხიარულო?

— შენ ხომ დღეს ლაპარაკს ვერ გაათავებ!—ხელი ჩაიქნია აგრა-  
ფინამ და სკამების ჩამორეცხვას შეუდგა.

მიტრიჩმა კვლავ ღიმილით განაგრძო:

— დედაბერო, აი რა, მოვიფიქრე, ტყე სულ ახლოსაა... წავალ, მოვჭ-  
რი ნაძვის ხეს და ისე გავართობ პატარებს, რომ მთელი სიცოცხლე არ  
დამიფიწყებენ. ხომ ხედავ, დედაბერო, რა აზრები მომდის თავში?—  
გამხიარებულმა მოხუცმა თვალი ჩაუკრა თავის დედაბერს და ტურები  
ააწკლამუნა:—აბა, ასეთი ვარ მე!

აგრაფინას არაფერი უთქვამს, ცდილობდა რაც შეიძლება მალე  
დაესუფთავებინა და დაეღაგებინა ოთახი. მიტრიჩი თავისი ლაპარაკით  
მხოლოდ ხელს უშლიდა მას.

— დედაბერო, კარგი აზრები მომდის თავში, არა?

— წადი, გამშორდი შენი აზრებიანად!—დაუყვირა ბოლოს ქმარს.  
—რას გამოჭიმულხარ ამ სკამზე, გამიშვი, უნდა ჩამოვრეცხო, სადა  
მაქვს შენი ლოლიავის თავი!

— კარგი, კარგი, ჩემო აგრაფინა.—წაილაპარაკა მან იღუმალი  
ხმით.—ისე გავართობ პატარებს, რომ მაღლობას შენი ბირით გატყევი-  
ნებ!.. ვთქვი და შევასრულებ კიდეც. ნახავ, მთელი სიცოცხლე ბავშვე-  
ბი ჩემი ხსენების მეტს არაფერს გააკეთებენ.

— რას იზამ, არაფერი საქმე არა გაქვს და...

— არა, დედაბერო, საქმე ბევრი მაქვს. მაგრამ რაკი ვთქვი, ნაძვის  
ხეს დავუდგამ პატარებს—მეთქი, შევასრულებ კიდეც. ისიც ეყოფათ,  
ობლები რომ არიან.

მოხუცმა ჩამქრალი ჩიბუხი ჯიბეში ჩაიღო და ეზოში გავიდა.

\* \* \*

\* გადასახლებულთა თავშესაფარი. ძველად რუსეთში ზოგიერთ  
გლეხი, სიღარიბისათვის თავი რომ დაეღწია, მშობლიური სოფლიდან  
აიყრებოდა და გადასახლებებოდა განაპირა, მცირედსახლებულ რაიონ-  
ებში, უმთავრესად ციმბირში. აქ შეეძლო უფრო კარგი მიწის ნაკვე-  
თის მიღება. გლეხი მთელი თავისი ოჯახით თვეობით ფეხით მოგზაუ-  
რობდა და გადაჰქონდა საშინელი გაჭირვება. მეფის მთავრობა არა-  
ვითარ დახმარებას არ უწყევდა მათ. ამ მგზავრობის დროს შიმშილისა  
და ავადმყოფობისაგან უამრავი ხალხი იღუპებოდა, განსაკუთრებით კი  
ბავშვები.

ეზოში გაფანტულიყო პატარა-პატარა ფიცრული ხის სახლები;  
ეზოს უკან გადაშლილიყო ფარფლ დათოვლილი მინდორი, შორს კი  
მოჩანდა სადარაჯოების კენწეროები.

აღრე გაზაფხულიდან შუა შემოდგომამდე ქალაქის გავლით იმდენი  
გადასახლებული მოიწვედა აქეთკენ, იმდენი, რომ ამ ლტაცებისათვის  
კეთილმა ხალხმა აი, ეს პატარა სახლები ააშენა. ამ სახლებს ჩვენი ნაც-  
ნობი მიტრიჩი დარაჯობდა, ისინი მუდამ გაჭედული იყო ხალხით. ცუდი  
ამინდისა და სიცივისაგან ბავშვები და საერთოდ მთელი ოჯახი, რომ



დაეცათ, გადასახლებულები მინდორში ქოხებს დგამდნენ. ზოგი ამ სახელდახლოდ დადგმულ ქოხებში ერთ-ორ კვირას ატარებდა, ზოგი თვეზე მეტს იყო და ელოდა, როდის დადგებოდა გემით გამგზავრების დრო. შუა ზაფხულში აქ იმდენი ხალხი იყრიდა თავს, რომ მთელი მინდორი ქოხებით იფარებოდა, მაგრამ შემოდგომა დადგებოდა თუ არა, სახლები თანდათან ცარიელდებოდა, ბოლოს და ბოლოს ზამთარს მარტო მიტრიჩი, მისი მუღღლე აგრაფინა და რამდენიმე უპატრონო ბავშვი ხვდებოდა. იმ ზამთარში მიტრიჩს რვა ასეთი ობოლი ჰყავდა.

— უწესრიგობაა, უწესრიგობა.—ფიქრობდა მიტრიჩი და მხრებს ათამაშებდა.—რა ვუყო ამ ხალხს? საიდან გაჩნდნენ აქ? ანდა ვინ არიან ეს მაინც ვიცოდეთ?

მოხუცი ამოიხსრებდა და ჭიშკართან მარტო ატუხულ ბავშვს მიუახლოვდებოდა.

— ვისი ბიჭი ხარ?

ძვალტყავადქეული, ფერდაკარგული ბავშვი დამფრთხალ თვალებს მოხუცს მიაპყრობდა.

— რას გეძახიან?

— ფომკას.

— საიდან მოხვედი აქ. რომელი სოფლიდან ხარ?

პატარამ არ იცოდა მშობლიური სოფლის სახელი.

— მამაშენს რა ჰქვია, ესეც არ იცი?

— მამილო.

— ვიცი მამილოს რომ ეძახი... მაგრამ რა გვარია ეს შენი მამილო? მაგალითად, პეტროვი ხომ არ არის, ან სიდოროვი, ანდა გოლუბევი, იქნებ კასატინი... რა ჰქვია-თქო გეკითხები.

— მამილო.

მიტრიჩი ამოიხსრებდა, ხელს ჩაიქნევდა და ასეთ პასუხებს ჩვეული მეტს არაფერს ჰკითხავდა.

— პატარა სულელო, მშობლების სახელი და გვარი არ იცი?—იტყოდა და თან ბიჭუნას თავზე ხელს გადაუსვამდა ხოლმე.—შენ ვილა ხარ?—მიუბრუნდებოდა ახლა იგი მეორე ბავშვს.—მამაშენი სადლაა?

— მოკვდა.

— მოკვდა? სამარადისო ხსოვნა იყოს მისი! დედაშენს რაღა მოუვიდა?

— ისიც მოკვდა.

— რას ამბობ, ისიც მოკვდა?

მიტრიჩი ხელებს ვაგასვავებდა. მერე შეკრებდა ობლებს და ჩინოვნიკს წარუდგენდა. ჩინოვნიკიც დაკითხავდა და მხრებს აიჩეჩავდა ასეთი პასუხებით უკმაყოფილო.

ზოგს მშობლები დალუპოდა, ზოგისა სადღაც გადაკარგულიყო. აი, ასეთმა, ერთიმეორეზე პატარა რვა ბავშვმა მოიყარა ახლა მიტრიჩთან თავი. რა ექნა ამ ბავშვებისათვის? საიდან იყვნენ ისინი მოსული, ან ვინ რუნენ, არავინ იცოდა.

ბოლოს და ბოლოს ისინი ერთ პატარა სახლში მოათავსეს. მიტრიჩმა განიხრახა სწორედ აქ, ამ პატარა სახლში, დაეღვა თავისი შვილობილებისათვის ნაძვის ხე.

3

ნათელი დღე იყო. ქურქში გახვეული, წარბებამდე ქედამოუხატული მიტრიჩი ტყიდან ბრუნდებოდა. მას ქამარში ნაჯახი ჩაერჭო და მხარზე ნაძვის ხე გაეღო. თუმცა დაღლილი იყო, გული მაინც სიხარულით უღრთოდა. ჯერ კიდევ დილით ქალაქისაკენ სავაჭროდ გაეშურა: ბავშვებისათვის კანფეტები უნდა ეყიდა, თავისთვის კი არაყი და ძეხვი.

მიტრიჩს ცოლისთვის არაფერი უთქვამს, ნაძვის ხე პირდაპირ ფარდულში შეიტანა, ნაჯახით ბოლო წაუთალა და ბავშვებთან წაიღო.

— აბა, საზოგადოებავ, ახლა წესრიგი დაიცავით!—უბნებოდა ბავშვებს და თან ნაძვის ხეს დგამდა.—აი, ცოტა თოვლი რომ ჩამოაღწება, მერე თქვენც უნდა მომეხმაროთ.

ნაძვის ხემ ოთახს ფისის სუნი და სიგრილე მოჰფინა. ჩაფიქრებული და დანადგლიანებული ბავშვები უშუმჩნეულად გამხიარულდნენ. თუმცა არ იცოდნენ, რას აკეთებდა მოხუცი, მაგრამ გრძობდნენ. რაღაც სასიამოვნოს უმზადებდნენ მათ. მიტრიჩი მხიარულად შეპყურებდა ყოველი მხრიდან მისკენ მიპყრობილ თვალებს.

მოხუცმა მოიტანა სანთლის ნაშუფები და ხეზე ჩამოჰკიდა.

— აბა ჩემო კავალერო!—მიმართა პატარა ბიჭუნას, რომელიც ტაბურეტზე შემდგარიყო.—მომაწოდე ერთი ის სანთელი... ოჰო, აი ასე! შენ მომწოდე. მე კი ნაძვის ხეზე ჩამოგვიდებ, კარგი?

— მეც მოგეხმარები, მეც მოგეხმარები!...—გაისმა ბავშვების შეძახილები.

— კარგი, თქვენც მომეხმარეთ,—დაეთანხმა მიტრიჩი.—ერთმა სანთელი დაიჭიროს, მეორემ—ძაფი, მესამემ ერთი მომაწოდოს, მეოთხემ მეორე... შენ კი, მარჯუშა აი, აქ დადევი და გაციურე. აბა, თქვენც, ხალხნო, თვალი არ მოგვაშოროთ... ე. ი. ჩვენ ყველანი საქმეში ვიქნებით გართულნი. მართალს არ ვამბობ?

სანთლების გარდა ნაძვის ხეზე ჩამოჰკიდეს რვა კანფეტი, მოხუცმა თვალი მოავლო მთელ ნაძვის ხეს, თავი გადააქნია და თქვა:

— საზოგადოებავ, სიხალვათეა, არა?—ცოტახანს ხმა არ ამოუღია, მერე ამოიხსრა და განაგრძო:—ჩემო ძმებო, სიხალვათეა, სიხალვათე! მიტრიჩმა ნაძვის ხეზე რვა კანფეტის მეტი ვერაფერი ჩამოჰკიდა.

— ჰმ!—მიმოდიოდა და მსჯელობდა იგი.—რა ექნა, რა დაგვიღო ამ ნაძვის ხეზე!

უცებ რაღაც მოიფიქრა და ერთ ადგილას შედგა.

— ვითომ რა?—თქვა თავისთვის.—კარგი იქნება თუ არა? ჩიბუხი მოსწია და კვლავ შეეკითხა თავის თავს.—კარგი იქნება თუ არა? თითქოს კარგი უნდა იყოს... ეს ბავშვები, ვერაფერს ვერ მოიფიქრებენ,—განაგრძობდა იგი,—ჰო, ვთქვით პატარებს გავართობთ... მაგრამ ჩვენ რა? ჩვენც ხომ მოგვინდება გართობა. ჩემს დედაბერს რით უნდა გავლმასიხმოდეთ?

და ცოტახანს ფიქრის შემდეგ მიტრიჩმა გადაწყვიტა პურის ნაჭრები დაეკიდა ნაძვის ხეზე.

— კარგი, ძეხვისა და პურის ნაჭრებს დაგვიდებ, თან კიდევ არყის ბოთლით დავამშვენებ ნაძვის ხეს. მეც დავისხამ და ჩემ დედაბერსაც გავუმასიხმოდებო.

4

როგორც კი ჩამოხველდა, ნაძვის ხეზე სანთლები აანთეს. ოთახში დადგა გამდნარი სანთლის, ფისისა და ხის სასიამოვნო სუნი. დადარდინებულმა ბავშვებმა ანთებული სანთლები რომ დანახეს, მხიარულად ახმურდნენ, თვალები გაუბრწყინდათ, ლოყები აუფაკლდათ და როცა მიტრიჩმა უთხრა, ნაძვის ხის გარშემო იცეკვეთო, ერთმანეთს წაავლეს ხელი, ხტუნვითა და ხმაურით გარს შემოუარეს. ამ ოთახში, სადაც მხოლოდ სევდა და ცრემლი დასადგურებელიყო, პირველად გაისმა სიცხლი, ქრიამული და ლაპარაკის ხმა. გაკვირებული აგრაფინა ხელებს ერთმანეთს ურტყამდა, გამხიარებულმა მიტრიჩმა კი გარმონი აჰყვიტინა.

— ახლა კი, ჩემო დედაბერო, წავიხმოსოთ რამე!—თქვა ბოლოს მიტრიჩმა რა გარმონი სკამზე დადო.—აბა, მოქალაქენო, წესრიგი დაიცავით!

მოხუცი ტკბებოდა გაკაშკაშებული ნაძვის ხის ცქერით, თან ღიმილს ვერ იკავებდა და ღონიჯუმითყრილი ხან ნაძვის ხეზე დაკიდებულ პურის ნაჭრებს, ხან ძეხვის ნაჭრებს შესცქეროდა. ბოლოს კი ბრძანა:

— საზოგადოებავ! რიგრიგობით მიუახლოვდით ნაძვის ხეს!

იგი პურსა და ძეხვის ნაჭრს ურიგებდა ბავშვებს. ბოლოს კი ჩამოიღო არყის ბოთლი და აგრაფინასთან ერთად თითო ჭიქა გადასხვა.

— ახლა მაინც მითხარი, ჩემო დედაბერო, რა კარგი კაცი ხართქო,—უთხრა მან აგრაფინას და თითო ბავშვებისაკენ ჭაიშვირა,—შეხედე ერთი ამ ობლებს, რა ამბავში არიან! შეხედე, დედაბერო, და გაიხარე!

ბავშვები ხტუნაობდნენ, მხიარულად წიოდნენ და გარს უვლიდნენ ნაძვის ხეს, მოხუცი მიტრიჩი ერთ ნაბიჯზე არ შორდებოდა მათ.

— საზოგადოებავ!—წამოიძახა ბოლოს,—სანთლები იწვება, თქვენ თითონ ჩამოსხენით თითო-თითო კანფეტი და ლოკინებში ჩაყოტრიალდით! უკვე ძილის დროა!

ბავშვებმა მხიარულად შეპყვირეს და ნაძვის ხეს ეცნენ. გულაჩუყებულმა მიტრიჩმა წასჩურჩულა აგრაფინას:

— კარგია არა, ჩემო დედაბერო? პირდაპირ შეიძლება კაცმა თქვას, კარგად მოვიქეცი!

გადასახლებულ ბავშვთა ცხოვრებაშიც გამოერია ერთადერთი ნათელი დღე!

მიტრიჩის ნაძვის ხეს რომელიმე მათგანი განა როდისმე დაივიწყებს?

თარგმნა ნ ა თ ე ლ ა ჩ ი რ ა ძ ე მ



# ახალშობილი ბავშვის მოვლა

ახალშობილ ბავშვს განსაკუთრებული მოვლა სჭირდება. ამას თავისი მიზეზები აქვს. თუ მუცლად ყოფნის პერიოდში ნაყოფი სტერილურ და მუდმივი ტემპერატურის მქონე გარემოში იმყოფება და დედის ხარჯზე იკვებება—სისხლთან ერთად დებულობის თავისი ორგანიზმისათვის საჭირო ყოველგვარ ჰორმონებს, — დაბადების შემდეგ ის უკვე სრულიად განსხვავებულ პირობებში ხვდება. გარემო საესეა მიკრობებით. პაერის ტემპერატურა განუწყვეტლივ იცვლება, საკვების მისაღებად ბავშვს უკვე უხდება ენერჯის ხარჯვა—წოვის და ყლაპვის საშუალებით. გარდა ამისა, დაბადების პროცესში ნაყოფის ორგანიზმში ხდება მთელი რიგი ძვრები, რაც, რასაკვირველია, თავის მხრივ იწვევს ენერჯის ხარჯვას—ეს არის სუნთქვის, შარდის გამოყოფის სისტემის, საჭმლის მომწელებელი ორგანოების ამუშავება და სისხლის მიმოქცევის მთლიანი შეცვლა. ამიტომ ახალშობილის ე. ი. დაბადებიდან პირველი 5-6 კვირის განმავლობაში, ბავშვის მოვლა განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

ახალშობილი ბავშვის კანი ძლიერ ნაზია და დაფარულია ცხიმოვანი ნაცხით, რომლის მოცილებამ შეიძლება გამოიწვიოს გაღიზიანება, კანის შეწითლება და კატარალური ანთება. ამიტომ ბავშვს პირველი 7-8 დღის განმავლობაში არ ვაბანავებთ. ახალშობილს ვაბანავებთ მხოლოდ მაშინ, როცა ტიპლარის ტაკი მოვარდება, ტაკის ადგილზე დარჩენილი ნაწიბური კი შეხორცდება და სრულიად მშრალი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, აქედან შეიძლება შეიჭრას ინფექცია და განვითარდეს სერიოზული დაავადება. ოთახში, სადაც ბავშვს ვაბანავებთ, ტემპერატურა უნდა იყოს 22-24 გრადუსი. ბავშვისათვის ცალკე უნდა გვეგონდეს განსაკუთრებული აბაზანა, რომელიც ყოველ ბანაობის წინ უნდა გაირეცხოს საპნითა და ჯაგრისით, შემდეგ გამოველოს 2 პროცენტის ქლოროფორმის ხსნარი და შემდეგ — ადუღებული წყალი. პატარა მაგიდაზე წინასწარ უნდა გავამზადოთ ბავშვის ჩასაცმელი და შესახვევი მასალა.

აბაზანაში ვასხამთ წყალს იმდენს, რომ დაწოლილი ბავშვი დაფაროს. წყლის ტემპერატურა 36-37 გრადუსს არ უნდა აღემატებოდეს. აბაზანაში ვაფენთ რბილ ნაჭერს და ბავშვს ვაწვენთ ზურგით, თავქვეს უღებთ მარცხენა ხელს, რომ ყურებში წყალი არ ჩაუვიდეს, მარჯვენათი კი წყალს ვასხამთ, თან ვბანთ ნაკეცების ადგილებს, ყელს, ილიებს, სახ. რდულის მიდამოებს, მუხლის ქვეშ და სხვა. საპნის პირველი ორი კვირის განმავლობაში არ ხმარობენ, რადგან მან შეიძლება გამოიწვიოს

კანის გაღიზიანება. აბაზანაში ბავშვს ვტოვებთ 8-10 წუთით, შემდეგ მას ვაწვენთ შესაწმენდ საფენზე და ძალიან ფრთხილად ვწმენდთ, კარგად ვუმშრალებთ ნაკეცებს და ვუსვამთ სტერილურ მცენარეულ ზეთს (ნუშის, ატმის ან გადაღებულ მზესუმზირისას).

ამის შემდეგ ახალშობილს ვაცმევთ და ვხვეთ. ტანზე ვაცმევთ უკან ჩახსნილ უდილო პერანგს. უკანა მხარეს პერანგს კარგად უნდა გავუსწოროთ, რომ ნაკეცები არ დარჩეს. ზაფხულში, სიცხეში ერთი ზედა მიტკლის ან ბატისტის პერანგიც საკმარისია, ხოლო სიცხეში მას კიდევ უნდა მოვაცვათ ბამბაზის წინ ჩახსნილი პერანგი. ამის შემდეგ დავიწყებთ ბავშვის შეხვევას. ახალშობილის საცვალი და სახვევები ხმარებამდე რამდენჯერმე უნდა გაირეცხოს ცხელ წყალსა და საპნში და შემდეგ ორივე მხრიდან გაუთოვდეს.

თხევით, დიდ საფენს ვკეცავთ სამკუთხედად და მერე მასზე ვაწვენთ ბავშვს. სამკუთხედ ვაკეცილი შესახვევის ყველაზე განიერ ბოლოს ბავშვს ახოუფენთ ფეხებზე და ვაფარებთ მუცელზე, ხოლო გრძელი ბოლოებით ვხვევთ გვერდებიდან.

ამის შემდეგ დიდი შესახვევით ვუხვევთ ფეხებს და სხულის ქვემო ნაწილს ისე, რომ ხელები ზევით დარჩეს. ბავშვს დავაწვენთ საწოლზე, სადაც ჩაფენილია მუშაბა (კლიონკა) და ზემოდან ვაფარებთ საზაფხულო ან საზამთრო საბანს—დროის მიხედვით. ბავშვის აკვანში ჩაკვრა დაუშვებელია, რადგან ეს იწვევს ბავშვის ფიზიკური განვითარების შეფერხებას.

კუჭის ყოველი მოქმედებისა და ჩასველების შემდეგ ბავშვი უნდა ჩავბანოთ ოთახის ტემპერატურის ადუღებული წყლით. გოგონების ჩაბანვისას ხელს წინიდან უკან ვამოძრავებთ, რომ ინფექცია არ შეიჭრას სასქესო ორგანოებში. ჩაბანის შემდეგ ვამშრალებთ და ვუსვამთ სტერილურ ზეთს.

ყოველი ჩასველების შემდეგ ბავშვს უნდა გამოუცვალოთ საფენები და შესახვევი თეთრეული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვითარდება გამოყვლევი, კანი ზიანდება და ამან შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა დაავადება.

თუ გამოყვლევი მაინც განვითარდა, მაშინ წყალში, რომელშიც ბავშვს ვაბანავებთ, დეზინფექციის მიზნით უნდა ჩავყაროთ სულ ცოტა მანგანუმშეჯავა კალუმი ისე, რომ წყალი ოღნავ ვარდისფერი გახდეს. ამის შემდეგ გამოყვლილ ადგილებს კარგად ვამშრალებთ და ვუსვამთ ზეთზე დამზადებულ ვიტამინ D<sub>2</sub>-ს ხსნარში დასველებულ საფენებს. თუ ვიტამინი D<sub>2</sub> არა გვაქვს შევიძლია ვიხმაროთ თევზის ქონი, რომელიც უკეთესს შედეგს გვაძლევს. მხოლოდ ის ნაკლი გაანია, რომ სუნი აქვს.

ძლიერი გამოყვლის დროს ფხვნილების ან პუდრის ხმარება მიზანშეწონილი არ არის, რადგან ეს კიდევ უფრო აშრობს და აღიზიანებს კანს.

ახალშობილის ორგანიზმის ნორმალური განვითარებისა და მასში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესებისათვის აუცილებელია ბავშვის წესიერი კვება.

ხუთ თვემდე, ესე იგი, ვიდრე ბავშვის საჭმლის მომწელებელი ორგანოები ჯერ კიდევ არ არის ფუნქციურად საკმარისად ჩამოყალიბებული, ყოველმხრივ მიზანშეწონილს და ადვილად მოსანებებელ საკვებს ბავშვისათვის ქალის რძე წარმოადგენს. გარდა ამისა, ქალის რძე შეიცავს ანტიბიოტიკებს, რომელთა მიღებაც შეუძლებელია ბავშვის ორგანიზმს ყოველგვარი ინფექციისთვის ქალის რძე სტერილურია, ძროხის რძე კი ყოველთვის ადუღებას მოითხოვს, რადგან მოწველის დროს გაბინძურებულია ბაქტერიებით. იმ დუღილის დროს იშლება ვიტამინები, რომლებსაც შეიცავს ადუღარი რძე.

გარდა ქალის რძისა, ბავშვის წესიერი კვებისათვის აუცილებელია გარემო პირობების შექმნა. მაგალითად, ბავშვის კვებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მისი მომზადება კვებისათვის, მისი ყნოსვისა და გემოვნების გაღიზიანება.

ძუძუსთან ახალშობილი მიჰყავთ დაბადებიდან 12-24 საათის შემდეგ, რადგან როგორც დედას, ისე ახალშობილს მშობიარობის შემდეგ დასვენება ესაჭიროებათ. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი ფიზიკურად სუსტია, ის ძუძუსთან ერთი საათის შემდეგ მიჰყავთ.

თავდაპირველად ბავშვი ვერ ახერხებს საკმარისი რძის გამოწოვას. პირველ ორ დღეს თითო ჯერზე ის დაახლოებით 25-30 გრამს გამოწოვს, მესამე დღეს—30-40 გრამს, ხოლო მეათე დღეს ახალშობილი დღეღამის განმავლობაში უკვე 350-450 გრამს გამოწოვს.

პირველი ექვსი კვირის განმავლობაში ბავშვს ძუძუს აძლევენ დღეღამეში ექვსჯერ. ღამის [2 საათიდან დილის 6 საათამდე ბავშვს აღარ აძევენ, რომ დაისვენოს საჭმლის მომწელებელმა ორგანომ. საშუალოდ საკმარისია ბავშვმა ძუძუ 15-20 წუთის განმავლობაში წოვოს. გარდა ამ თუ ბავშვი სუსტად წოვს, ის ძუძუსთან 30 წუთით უნდა დავტოვოთ. თვითუფლო ჯერზე ბავშვს მხოლოდ ერთი ძუძუ უნდა მიეცეს. თუ დედას რძე საკმარისი არა აქვს, იმ შემთხვევაში ორივე ძუძუ მიეცემა. როცა ქალს რძე დიდი რაოდენობით აქვს და ბავშვი ერთ გამოწოვაზე ვერ სცლის ძუძუს, ასეთ შემთხვევაში საჭიროა ძუძუს გამოწველა და მისი ბოლომდე ადკლა რძისგან, რომ ძუძუს ანთება არ განვითარდეს.

როცა ბავშვს რძე საკმარისი რაოდენობით ეძლევა, იგი ფიზიკურად კარგად ვითარდება, წონაში მატულობს, ხალისიანია და კარგად სძინავს.

ოთახი, სადაც ახალშობილს სძინავს, ხშირად უნდა გავანიაოთ. ბავშვი პაერზე უნდა გავიყვანოთ კარგ, უქარო ამინდში; ზამთრის პერიოდში, ცხადია, შესაფერისად თბილად შეფუთული.



ყოველ დიასახლისს შეუძლია სადილის, ვახშმის, საუზმისა და ჩაისათვის სუფრა გაშალოს თავისი გემოვნების მიხედვით. საჭიროა მხოლოდ, რომ სუფრა გაიშალოს მოხერხებულად, სუფთად, ისე, რომ სასიამოვნო შესახედაობა ჰქონდეს.

იმისათვის, რომ სუფრას სადღესასწაულო იერი ჰქონდეს, აუცილებელია სუფთა საფარი, სასურველია, რა თქმა უნდა, კარგი ჭურჭლეული, ყვავილები და სხვა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სუფრა გადავტვირთოთ და ბროლის, ფაფურის და ვერცხლეულის გამოფენად ვაქციოთ. ცნობილია, რომ სუფრის შნო და ლაზათი დიდად არის დამოკიდებული დიასახლისის მიერ ჭურჭლეულისა და საჭმელების მოხდენილ განლაგებაზე. ვიდრე სუფრის გაშლას შეუდგებოდეთ, შეამოწმეთ, საკმარისად გაქვთ თუ არა საჭირო ჭურჭლეული, კარგად არის ის გარეცხილი თუ არა და სხვა. სუფრის გაშლის წინ ჭურჭლეულს გადაუსვით სუფთა ტილო.

სასადილო მაგიდა ოთახის ცენტრში უნდა იდგეს (თუ ფართობი ამის შესაძლებლობას იძლევა) ან ისეთ ადგილას, რომ მასთან ყოველი მხრიდან შეიძლებოდეს მისვლა.

მაგიდას ჯერ დააფარეთ მუშამბა, ფანელი ანდა სხვა რომელიმე მძიმე რბილი ქსოვილი, ეს მაგიდის ფიკარს იცავს ცხელი საჭმელისაგან ახშობს ჭურჭლის გადადგმით გამოწვეულ ხმაურს, საშუალებას იძლევა საფარი თანაბრად გაიშალოს მაგიდაზე. ამის შემდეგ მაგიდას გადააფარეთ გულმოდგინედ გაუთოებული, ზომიერად გახამებული თეთრი საფარი, რომლის ნაკეცი უნდა გადიოდეს მაგიდის ცენტრზე და ბოლოები თანაბრად ეცემოდეს.

საღამოს ჩაისათვის შეიძლება გამოიყენოთ ფერადი საფარიც. სასურველია, რომ ხელსახოციები საფარის ფერისა და ქსოვილისაგან იყოს.

კარგია სუფრის გაშლა მთლიანი სერვიზით — ერთსახოვანი მოყვანილობის და ფერის ერთნაირი ჭურჭლით. თუ სუფრას სხვადასხვაგვარი ჭურჭლეულით აწყობთ, შემდეგი წესი უნდა დაიცვათ: ყოველ თავ საჭმელს, რომელიც ლანგარით, სასალათეთი ან სხვა რაიმე ჭურჭლით მიიტანება, თან უნდა მიყვებოდეს შესაფერისი თევზები.

სუფრაზე თევზები დააწყვეთ იმ გარაუდით, რამდენი თანამოსუფრეც იქნება. თევზები ერთმანეთთან მჭიდროდ არ უნდა ელაგოს და მაგიდასთან მჯდომნი ერთმანეთს ხელს არ უნდა უშლიდნენ. თვითველ მოსუფრეს დაუდგოთ ორი-სამი თევზი, ერთი მცირე ზომისა — საუზმისათვის, რომელზეც სწორკუთხედად ან სამკუთხედად დაკეცილი ხელსახოცი დაიდება. ყოველი მოსუფრალის თევზის მარცხენა მხარეს მოთავსდება პატარა თევზი (პურის ან ღვეხელისათვის). მარჯვენა მხარეს დააწყობა დანები, ალესილი პირით თევზისაკენ. თუ სუფრა სადილისათვის იშლება, მაშინ კოვზი მარჯვენა მხარეს იდება, ჩაწნეპილი მხარით ზემოთ. მარცხენა მხარეს თავსდება ჩანგალი ზემოთ ჩაწნეპილი მხარეთი;

ფართო ლარნაკები პატარა თაიგულებით. აუცილებელი არ არის ძვირფასი ყვავილები. გემოვნებით შერჩეული იაფფასიანი და მინდვრის ყვავილიც კი შეიძლება შესანიშნავად გამოიყურებოდეს და ბევრად აჯობოს უგემოვნოდ შერჩეულ ძვირფას ყვავილებს. სუფრისათვის რეკომენდებულია ნაზი სურნელების ყვავილების შერჩევა. ყოვლად დაუშვებელია სუფრაზე ქოთინიანი და ხელოვნური ყვავილების მოთავსება. სადღესასწაულო იერს აძლევს აგრეთვე მაგიდას შუაში ჩადგმული გაწყობილი ხილის ლარნაკი.

როცა მაგიდის სიდიდე ნებას გვაძლევს, კარგია საჩაროზო (სადესერტო) დანა-ჩანგალი და კოვზი მოვთავსოთ სირჩების წინ, პატარა თევზის პარალელურად. თუ ამისი საშუალება არა გვაქვს, მაშინ სადილის დასასრულს, სუფრიდან ყველა ჭურჭლეულისა და თევზების ალაკების შემდეგ. საჩაროზო დანა-ჩანგალი და კოვზი მიიტანება სუფრაზე, საჩაროზო თევზზე დაწყობილი.

თქვენთვის რომ უფრო მოხერხებული იყოს სუფრის მომსახურება, ახლოს დაიდგით საფარგადაფარებული პატარა დამხმარე მაგიდა. დამხმარე მაგიდაზე ვარაუდით დააწყვეთ ის ჭურჭლეული, პროდუქტები და სუფრისათვის საჭირო საგნები, რომლებიც მიზანშეწონილად მიგაჩნიათ. დამხმარე მაგიდაზე რეკომენდებულია ჩაროზის დაწყობაც.

პური რომ არ გახმეს, ის უშუალოდ სუფრაზე მიტანის წინ დაჭერით თხელ ნაჭრებად, შემდეგ საგანებო საპურზე ან ჩვეულებრივ თევზებზე დაალაგეთ და სხვადასხვა ადგილას დააწყვეთ ისე, რომ ადვილად მისაწვდომი იყოს და გადაწოდება არ სჭირდებოდეს. მჭადი ნაჭრებად დაჭრილი მიიტანეთ, რადგან მისი სუფრაზე დატეხვა არაპიგიურია. ღომი მიიტანება მცირე თევზებით თვითველი მოსადილისათვის. ღომი და მჭადი სუფრაზე ცხელი უნდა მივიდეს. თუ სუფრაზე პური, მჭადი და ღომი გამოილია, ახალი თევზებით მიიტანეთ.

ზემოაღნიშნულის განლაგების შემდეგ სუფრაზე უნდა დაიწყოს საუზმეული პატარა თევზებით იმდენი, რომ ყველა ადვილად მიწვდეს და, გადაწოდება არ იყოს საჭირო.

ასევე ბევრგან უნდა ჩაიდგას სუფრაზე სპეციალურ ჭურჭელში ჩასხმული სხვადასხვა სახის საწებელი.

სასმელის ბოთლები, გარდა შამპანურისა, გაზიანი სასმელებისა და მინერალური წყლებისა, სუფრაზე გახსნილი უნდა მოთავსდეს. ესენი კი სუფრაზე მიტანის წინ გახსენით. ყურადღება მიაქციეთ ბოთლების, განსაკუთრებით — მათი ყელის სისუფთავებს. ღვინო და სხვა მაგარი სასმელები სუფრაზე კარგია მიიტანოთ ღოჭებით და სურებით, თეთრი ღვინო — ჩაიცებული, წითელი კი — ოთახის ტემპერატურისა.

როცა მრავალრიცხოვანი სტუმრები გყავთ, კერძები უნდა ჩამოატაროთ და ყველას სათითაოდ მიართვათ. სუფრაზევე ერთი ადგილიდან მეორეზე გადაცემა არ არის ლამაზი. ასეთი გადაცემა შეიძლება მაშინ

# თქვენს ოჯახში მოვიყვანო სუფრარი

დანა-ჩანგალი, თუ ეს შესაძლებელია, ყოველი ახალი თავი საჭმლის მოტანის წინ უნდა გამოიცვალოს. თუ წვეულებას განსაკუთრებული საზეიმო ხასიათი აქვს, მაშინ დალაგდება ორი დანა-სადილისა და საუზმისათვის და ასეთივე ორი ჩანგალი.

თუ სადილად ან ვახშმად თევზეულის ცხელი კერძი მოგაქვთ, მაშინ სასადილო და სასაუზმო დანებს შორის დამატება სათევზე დანა და ჩანგალი. თუ სპეციალური სასაუზმო დანა-ჩანგალი დიასახლისის ოჯახში არ მოეპოვება, მაშინ შეიძლება დაიწყოს ჩვეულებრივი ორი დანა და ორი ჩანგალი.

ყოველი თევზ-მოწყობილობის წინ უნდა იდგას სხვადასხვა ზომის ორი-სამი ჭიქა, ჭიქების წინ მოთავსდება საშაროლე. ყოველი ოთხი-ხუთი კაცის თევზ-მოწყობილობის წინ უნდა დაიდგას მდოკვის, შავი პილბლისა და სხვა სურნელოვანი — სანელებელთა ჭურჭელი.

ლარნაკი ცოცხალი ყვავილებით, ლამაზად დალაგებული მწვანილეული საუკეთესო სამკაულია სუფრისათვის, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველაზე ლამაზი ლარნაკი და თვალწარმტაცი თაიგული ზედმეტი იქნება თუ დიდ ადგილს დაიჭერს სუფრაზე და ჩამოფარება მოსუფრეებს. უკეთესია მაგიდაზე რამდენიმე ადგილას ჩაიდგას დაბალი.

როცა სუფრის მონაწილეთა რიცხვი 5-მ ადამიანს არ აღემატება.

როცა საჭმელი უკვე თევზზე მოთავსებული შემოგაქვთ, (მაგალითად ბულიონი, სუბი) და სუფრაზე მჯდომს უნდა მიაწოდოთ, ეს სუბობა მარჯვენა მხრიდან მოხდეს, მაგრამ როცა სუფრაზე მჯდომმა თვით უნდა გადაიდოს საჭმელი საერთო თევზიდან, ან ლანგარიდან (მაგალითად, შემწვარი), მაშინ აუცილებელია მარცხნივ მიუდგეთ, რომ საჭმელის გადამღებს შექლოს მარჯვენა ხელის თავისუფლად ამოძრავება.

წვინანი კერძი (სუბი, ბულიონი) სუფრაზე მიიტანება მათლაფით ან ბულიონის სპეციალური ფინჯნებით. წვინანი მათლაფა სუფრაზე თევზზე მოთავსებული მიიტანეთ, ფინჯანი კი — ლამაზაქვე; ფინჯნებით მიიტანეთ გამჭვირვალე ბულიონი. თუ წვინანი კერძი ფინჯნით მოგაქვთ, მაშინ სუფრაზე კოვზები არ უნდა დაალაგოთ.

ნახმარი თევზების, დანა-ჩანგლისა და სხვა ჭურჭლის გამოცვლა სწრაფად და უხმოდ უნდა ხდებოდეს. სუფრას დიასახლისი დინჯად, წყნარად, ყოველგვარი ხმაურის გარეშე უნდა მოეშახსროს.

ჩაროზის მიტანის წინ სუფრა გაანათვისუფლეთ საწებლების, თევზებისა და სხვა ჭურჭლისაგან, მაგიდის საფარი სათანადო ფუნჯით მოასუფთავეთ.



# როგორ მოვანყოთ ბინა

საუბარი პირველი

ეს საკითხი ბევრ დიასახლისს აღელვებს და გასაგებობა: განა ბინაში არ ვატარებთ ჩვენი სიცოცხლის დიდ ნაწილს, ვშრომობთ და ვისვენებთ? ჰოდა, თუ ჩვენ ბინაში არ არის სიმყუდროვე, სისუფთავე და სილამაზე, ესე იგი ჩვენს ცხოვრებას ბევრი რამ აკლია.

მივიხედ-მოვიხედოთ ჩვენს სახლში, გავიხსენოთ ჩვენი მეგობრების ბინები. რომელია უფრო შნოიანად მოწყობილი, რომელშია მეტი სიმყუდროვე? თქვენ შეიძლება იფიქროთ—ის, რომელშიც უფრო შეძლებული ოჯახი ცხოვრობს. მაგრამ, განა ეს მართლა ასეა? აბა, გაიხსენეთ!

აი, თუნდაც თქვენი ორი მეზობელი. ორივეს ერთნაირი მატერიალური შესაძლებლობა აქვს, ბინებიც ზუსტად ერთნაირი და ორივე დიასახლისი თავგამოდებით ცდილობს ჰქონდეს ლამაზი და მყუდრო ბინა. მაგრამ შედიხართ ერთთან და თვალი ისვენებს, შედიხართ მეორესთან და ერთი სული გაქვთ, როდის გამოიქცევით.

მაშ, რაში ყოფილა საქმე? სისუფთავეში?

სისუფთავე, რა თქმა უნდა, აუცილებელია. ან კი რა სიმყუდროვეზე და სილამაზეზე შეიძლება ლაპარაკი, თუ ბინა არეულია, ავეჯზე მტვერი დევს და კუთხეებში ნაგვის გროვებია?


მაგრამ მარტო სისუფთავე არ წყვეტს ბინის შნოსა და ლაზათს.

ხდება ასეც: ოთახში მრავალ ძვირფას ავეჯს ბზინვა გაუდის, მაგრამ მაინც სული გვეხუთება. ხშირად სწორედ ეს ავეჯი გვიხუთავს სულს. კრიტიკულად შევათვალეიროთ ჩვენი ბინა. განა ყველაფერი რაც გვიდგას, აუცილებელია ოჯახისათვის? ხომ არ ხდება ისე, რომ ჩვენ თვითონ გავხდით ამათუიმ ნივთის მონა, რომ ნივთი კი არა ჩვენ ვემსახურებით მას, ტყუილად ვწმენდთ მტვერს, ვასუფთავებთ?

კარგი იქნებოდა, ასეთი გამოცდა მოგვეწყოთ თვითეული საოჯახო ნივთისათვის: გენერალური დალაგების

დროს ოთახიდან გავიტანოთ ყველაფერი და მერე სათითაოდ შემოვზიდოთ, ოღონდ კრიტიკის თვალთ შევხედოთ—აუცილებელია თუ არა ჩვენთვის ეს საგანი. აი, მაგალითად, მაღალ სამფეხზე შესკუპული შავი მაგიდა. ერთ დროს მასზე დიდებულთქვენს მზითვეში მოყოლილი გრამაფონი ედგა, ახლა თქვენ ტელეფონის აპარატი გიდგათ. ხომ არ აჯობებდა ეს მაგიდა სულ გაგეტანათ ოთახიდან, ტელეფონის აპარატი კი საწერ მაგიდაზე ან კედლის პატარა თაროზე დაგედგათ. მითუმეტეს, რომ ეს ყანყალა პატარა მაგიდეები სრულებით აღარ არის მოდაში?

რაც შეეხება მოდას, მისი უგუ-



საერთო ოთახი

ვანში დასასრულს ხშირად ჩარჩოთ მიაქვთ შავი ყავა ლიქიორით სუფრაზე სასმელების მიტანის წესი. სადღესასწაულო და სასტუმრო სუფრაზე სასმელები მიიტანება საჭმელთან შეხამებით. ცივ საუზმეულთან მიიტანება სხვადასხვა ხარისხის არაყი, ნაყენი (ნალიყა) და კონიაკი.

თვეზეულთან მიიტანება სუფრის თეთრი ცივი ღვინო. ღორის ხორცსა და მწვადთან—მოსქო, ექსტრაქტული ღვინო. ტკბილეულთან (ხილი, ნამცხვარი, ყელე და სხვა) კარგია საჩაროზე ღვინოები.

ზაფხულობით უფრო ნაკლები სიმარის ღვინოს მიირთმევენ, უმთავრესად—თეთრს, ზამთარში—უფრო მაგარს, უმთავრესად წითელს.

კონიაკი მადის აღმძვრელი სასმელია და ამიტომ ის დააღვეა მცირე ულუფით ჭამის წინ.

მშრალი შამპანიური სუფრაზე მიიტანება სადილის ან ვანში დასასრულს, ტკბილი შამპანიური კი—ბოლოს. მისი მიტანა შეიძლება მსუბუქ საუზმესთან, ტკბილეულთან, ხილთან. შამპანიურის ბოთლი ვანსის წინ კარგად უნდა გაიწმინდოს და მერე სუფრასთანვე გაიხსნას.

საერთოდ, სუფრის ღვინო, თავისი ღირსშესანიშნავი თვისებების გამო, შეიძლება ყველა სახის საჭმელთან ვინმართ, და, ვინაიდან, ის

ნაკლებად შეიცავს სპირტს, თავისუფლად შეიძლება მისი გამოყენება აგრეთვე საჩაროზე.

დიასახლისმა სუფრა სტუმრების მოსვლამდე უნდა გაშალოს, ის უნდა იყოს კარგ ხასიათზე, მზიარული, ყურადღებიანი და თავის მოვალეობას დინჯად ყოველგვარი მღელვარების გარეშე უნდა ასრულებდეს, რადგან დიასახლისის განწყობილება გადადის სტუმრებზე.

დიასახლისი თვითეულ სტუმარს ერთნაირი პატივისცემით უნდა მიეპყრას, ზედმეტი ყურადღება რომელიმე სტუმრის მიმართ არ არის ლამაზი. ასევე არაა მიღებული გამასპინძლების გადაჭარბებული პატივი და ძალდატანება, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მასპინძელმა ყურადღება არ მიაქციოს სტუმარს, ეს აუცილებელია, მხოლოდ ზომიერ ფარგლებში.

თუ სუფრაზე ჭურჭელი გატყდა, ან სასმელი დაიღვარა, დიასახლისი ამას მშვიდად უნდა შეხედოს და არავითარ შემთხვევაში ხასიათი არ შეიცვალოს.

დასასრულ, უნდა გვახსოვდეს, რომ სუფრის ლაზათი მარტო ძვირფასი საჭმელები როდია. დიასახლისს უნდა შეეძლოს, გააერთიანოს, დაუახლოვოს ერთმანეთს უცხო სტუმრები, თბილი განწყობილება შეიქმნას თანამოსუფრეთა შორის. ხომ შევიძინებთ რა მზიარულება და შესანიშნავი დროსტარებაა ზოგან, ზოგან კი ქიფი მხოლოდ გეპრიელი კერძების მიერთებით ამოიწურება.

თამარ სულაძველიძე




ლებელყოფა ნამდვილად არ შეიძლება. დაუკვირდით, რა ულამაზოდ გვეჩვენება ახლა ის ნაქარგი ხელსახოცები, «დაროშკები» რომლებითაც 20 წლის წინ გულმოდგინედ რთავდნენ კედლებს, ნოხებს, პატეფონებს, მაგიდებს და ვინ მოსთვლის კიდევ რას!

მორთულობაც არის და მორთულობაც! ლარნაკში ჩაწყობილი რამდენიმე ყვავილი აცოცხლებს ოთახს, მაგრამ განა ასე აშნოიანებს კედელს წითელბაფთიანი გიტარა? გიტარა ძალიან სასიამოვნო ინსტრუმენტია. ოღონდ, რა თქმა უნდა, კედელზე დასაკიდებლად არა. რაც შეეხება ბაფთს—ეს სრულიად ზედმეტია.

შეიძლება ვინმემ სთქვას—ეს გემოვნების საკითხიაო... მაგრამ არის გემოვნება და არის უგემოვნება, ან მეშჩანური გემოვნება და სწორედ მას უნდა გამოვუცხადოთ ბრძოლა ჩვენს ყოფაცხოვრებაში.

როგორ მოვწონთ ზიზილ-პიპილოებით გაჭედვითი პიანინოს სახურავი? ზოგჯერ შეხედავ და ადგილს ვერ იპოვნი, ისე გაუესიათ ათასგვარი სათამაშოებით. აქა უეჭველად იქნება შვიდი ხორთუმჩამოშვებული სპილო, ქორბუდა ირემი, ბუმბულის ფარშევანგები, ვეებერთელა თაბაშირის ძაღ-



სასადილო ოთახი

ლი, რომელიც სიდიდით ხშირად ნამდვილს ჯობნის, ჭრელ-ჭრელ ჩარჩოებში ჩასმული ნაცნობ-მეგობრების, ბავშვების და უცნობი ლამაზმანების სურათები.

ან კედლებზე გაკრული გობელენები—ბაზრის ხელოსნებისაგან იაფად შეძენილი: ვეფხვთან შებმული ტარიელი, ტბაზე მოცურავე ვარდისფერი გედები, ნისკარტმიტყუპული მტრედები და მდელზე წამოწოლილი დედაშობილა ქალები. «იაფად შეძენილი» სიტყვამ მოიტანა, თორემ საქმე განა ფასშია? შებრძანდით ზე-


ბინაში: ბროლის ლარნაკი მაგიდაზე, ბროლი სერვანდზე, პატარა მაგიდაზე, ბროლით გაჭედვითი ვიტრინიანი კარადები... ასეთ ოთახში გაივლი და თავი ანტიკვარულ მაღაზიაში გგონია.

თანამედროვე მოდა შესანიშნავ რამეს გვთავაზობს: რაც შეიძლება მეტი სისადავე და უბრალოება, ნუ გადატვირთავთ ბინას ზედმეტი ავეჯით და მორთულობით.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ საერთოდ უნდა ვთქვათ უარი ლამაზ ნივთებზე, სურათებზე, ლარნაკებზე. ის, რაც ჭეშმარიტად ლამაზია, არასოდეს არ იქნება ზედმეტი ბინაში, თუ მას შესაფერად ადგილს მივუჩვენებთ. ამიტომ, როცა მაღაზიაში ამათუბ ნივთს ვიძენთ, წინასწარ უნდა მოვისაზროთ—სად დავდგამთ, ან მოუხდება თუ არა ის დანარჩენ ავეჯს?

რაც შეეხება ავეჯს, მისი ყიდვისას განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს. ახლა აღარ არის მოდაში ძალიან ძვირფასი, მოჩუქურთმებული ვარნიტურები. თანამედროვე ავეჯის სილამაზე სწორედ მის სისადავეში და მოხერხებულობაშია.

როგორი ავეჯი უნდა შევარჩიოთ? როგორ შევუხამოთ ნივთები ერთმანეთს? ამაზე ვისაუბროთ ჟურნალის მორიგ ნომერში.



სადინებელი ოთახი

რედაქტორი თ. აბაშმაძე.

სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მკ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.

მხატვრული რედაქტორი ლ. შენგელია.

რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ხელმწიფრილია დასაბეჭდად 7/1-61 წ. ქალაქის ზომა 60x92. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75, პირობით ფორმათა რაოდ. 5,3.

რედაქციის მისამართი—სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.

ტირაჟი 45.000. შპსი 30 კპ.

შეკვეთის № 2134 უე 03006

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.





ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ლილი ასათიანი შვილებთან.  
(ნარკვევი ის. მე-2-3 გვ.)

ფოტო გ. თიკანაძის

გარეკანის პირველ გვერდზე კინოსახიობი  
ლეილა აბაშიძე

ფოტო ი. ხალიბის